# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურ-თის გაგდება ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.


შაბათი-კვირა, 26 იანვარი. 2019 წ. №17-18 (8683-8684) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი


## დაცემა



## წყალტუბოს საკრებულოს თავმჯდომარემ ქრთამის სახით 250 000 ლარი აიღო

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გრიგოლ ივანეიშვილი დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ გრიგოლ ივანეიშვილი უცხოელ ბიზნესმენს ქალაქ წყალტუბოში მდებარე საკრებულოს ყოფილი შენობის წინასწარ შეთანხმებულ ფასად აუქციონზე გატანას და აღნიშნული აუქციონის გზით ხსენებული ქონების შესყიდვაში დახმარებას დაჰპირდა, რის სანაცვლოდაც ქრთამის სახით 250 000 ლარის გადახდა მოსთხოვა. ამასთან, გრიგოლ ივანეიშვილის ინიციატივით, ქრთამის სახით მოთხოვნილი თანხის გადახდის გარანტად უცხოელმა ბიზნესმენმა მისი კუთვნილი ფირმის 16%-იანი წილი გადაუფორმა ივანეიშვილის ნდობით აღჭურვილ პირს.

2018 წლის 26 დეკემბერს თვითმმართველმა ერთეულმა წყალტუბოს მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი ქ.წყალტუბოში შანიძის ქუჩა №1-ში მდებარე შენობა-ნაგებობის და მიწის ნაკვეთის შესყიდვასთან დაკავშირებით, რომელშიც მონაწილეობა მიიღო უცხოელმა ბიზნესმენმა და გრიგოლ ივანეიშვილის დახმარებით შეძლო აღნიშნული შენობის და მიწის ნაკვეთის წინასწარ შეთანხმებულ და ხელსაყრელ ფასად შეძენა. დანაშაულის შენიღბვის მიზნით, გრიგოლ ივანეიშვილმა უცხოელ ბიზნესმენთან გააფორმა ფიქტიური სესხის ხელშეკრულება და ამ უკანასკნელს 250 000 ლარი თავის შვილის ანგარიშზე ჩაარიცხინა. აღნიშნული გადარიცხვის შემდეგ, 2019 წლის 25 იანვარს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გრიგოლ ივანეიშვილი სუს-ის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა დააკავეს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით 11-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

## სასამართლოს შესეული გიენები



### შუბლის ძარღვს კოდექსი არ ითვალისწინებს... ⑤

## თბილისის ბიუჯეტი 72 მილიონით გაიზარდა



დედაქალაქის 2019 წლის ბიუჯეტი 72 მილიონი ლარით გაიზარდა. აქედან 62 მილიონი ლარი 2018 წლის ბიუჯეტის გაუხარჯავი ნაშთია, ხოლო 10 მილიონი შემოსავლების ზრდიდან მიღებული თანხა.

დედაქალაქის 2019 წლის ბიუჯეტმა ტრანსფერების ხარჯზე ერთ მილიარდ ლარს გადააჭარბა. აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საკრებულოს გუშინდელ სხდომაზე დამტკიცდა.

## ვაკის პარკმა გაიმარჯვა!

### პარკში არაფერი აშენდება!!! ②



### მამუკა წიკლაურის მწვერვალი ⑥

### აქვს თუ არა ქრისტიანს უფლება, მონაწილეობა მიიღოს ხელისუფლების დამხობაში?! ④





### ③ საქართველოს სათანადო პასუხი უნდა გავცეთ!

### უპოლიციო ქვეყანა, სადაც ციხეებიც არ არის ⑧

ტომი, რომელმაც ონკოლოგიური დაავადება არ იცის



# მამუკა ბახტაძე: საქართველოს აქვს ყველა წინაპირობა, გახდეს რეგიონის ეკონომიკური ცენტრი

**2019 წელი დავოსში ჩვენთვის განსაკუთრებით წარმატებული იყო და დარწმუნებული ვარ, ის ეკონომიკური პოლიტიკა, რომელსაც ვახორციელებთ, კიდევ უფრო მეტ წარმატებას მოგვიტანს,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე ვიზიტის შეჯამებისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ გაიმართა შეხვედრები როგორც ბიზნეს, ასევე, პოლიტიკურ ლიდერებთან და ძალიან სასიხარულოა, რომ ყველა ეკონომიკურ პანელზე აღინიშნა საქართველოს წარმატება.

**„საქართველო მოჰყავთ ყველაზე წარმატებული ქვეყნის მაგალითად, რომელმაც განიცადა როგორც დემოკრატიული, ასევე ეკონომიკური ტრანსფორმაცია. ჩემთვის ძალიან საამაყოა ამის მოსმენა. ჩვენი ბევრი მეზობელი გვთხოვს, დავეხმაროთ იმ რეფორმების განხორციელებაში, რომელიც საქართველოში უკვე შედგა. ჩვენ გამოვიყენეთ ეს შესაძლებლობა და გვქონდა ძალიან მნიშვნელოვანი მოლაპარაკებები კომპანიებთან, რომლებიც საქართველოში გეგმავენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებას. ყველა სექტორში არსებობს დაინტერესება, დაწყებული სამომხმარებლო პროდუქციით, დამთავრებული ენერგეტიკით. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ მაღალი ტექნოლოგიების სექტორში მომუშავე კომპანიები ძალიან მნიშვნელოვნად წინაპირობად აღიქვამენ იმ კანონმდებლობას, რომლის შემოღებას წლის მეორე ნახევრიდან ვაპირებთ. სამწუხაროდ, ბოლო წლებში განებივრებული არ ვართ მაღალტექნოლოგიური ინვესტიციებით და ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სწორედ მაღალტექნოლოგიური კომპანიებიდან მივიღოთ ინვესტიციები საქართველოში“,** — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

პრემიერის ინფორმაციით, ასევე ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრები გაიმართა განათლების რეფორმასთან დაკავშირებით, რაც კავშირშია იმასთან, რომ საქართველოში დაიწყოს ამ თვალსაზრისით ინოვაციების განვითარება და საქართველოს აქვს ძალიან მნიშვნელოვანი მხარდაჭერა.

მთავრობის მეთაურმა ასევე შეაჯამა ფორუმის ფარგლებში გამართული მნიშვნელოვანი პოლიტიკური შეხვედრები და განაცხადა, რომ კიდევ ერთხელ აღინიშნა ის ხელშესახები პროგრესი, რომელიც საქართველოს აქვს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე.

* * *

**იმ ზღვარის 200 ათას ლარამდე გაზრდას, რომლის ფარგლებში სესხების ლარში აღება სავალდებულოა, გრძელვადიან პერსპექტივაში დადებითი გავლენა ექნება საპროცენტო განაკვეთებზეც,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ჟურნალისტებს დავოსში ამ თემაზე დასმული კითხვის საპასუხოდ განუცხადა.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ საქართველოს ეკონომიკას აქვს რამდენიმე სუსტი მხარე, მათ შორის დოლარიზაციის ძალიან მაღალი დონე და მნიშვნელოვანია, გადაიდგას ნაბიჯები მათთან გასამკლავებლად.

**„ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩვენ ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადავდგით. დარწმუნებული ვარ, ლარში სესხების აღების სავალდებულო ზღვარის 200 ათას ლარამდე გაზრდას გრძელვადიან პერსპექტივაში დადებითი გავლენა ექნება საპროცენტო განაკვეთებზეც და ლარში სესხების საპროცენტო განაკვეთები ნაბიჯ-ნაბიჯ აუცილებლად დაიწევს“,** — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.



# ვაკის პარკმა გაიმარჯვა! პარკში არაფერი აშენდება!!!

ვაკის პარკში სასტუმრო აღარ აშენდება. როგორც თბილისის მერმა კახა კალაძემ გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, ინვესტორთან შეთანხმება მიღწეულია, რისთვისაც მას მადლობა გადაუხადა.

**— ვაკის პარკმა გაიმარჯვა და მინდა, მოგილოცოთ თბილისსა და თბილისელებს. ჩვენ მოვახერხეთ შეთანხმების მიღწევა ინვესტორთან, რომ ამ კონკრეტულ ადგილზე, ვაკის პარკში, არაფერი აშენდება. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანსა და აქტივისტს, რომელიც ჩართული იყო ამ საკითხში და იცავდა მწვანე სივრცეს. იცავდა ჩვენი ქალაქისთვის, თბილისისა და თბილისელებისთვის. მინდა ასევე, მადლობა გადავუხადო რიგით ადამიანებს, ვისაც გული შესტკიოდა ამ მწვანე სივრცეზე და გვიცხადებდა მაქსიმალურ მხარდაჭერასა და თანადგომას. მინდა, მადლობა გადავუხადო ინვესტორს, რომ გადმოდგა შემხვედრი ნაბიჯები და შეთანხმება იქნა მიღწეული,** — განაცხადა კალაძემ და აღნიშნა, რომ ვაკის პარკის ეს საქმე აძლევს იმედს, რომ ბევრი რამის გამოსწორება შესაძლებელია.

**„კარგად მაქვს გააზრებული, თუ რამხელა პასუხისმგებლობა გვაქვს აღებული ქალაქის წინაშე. ვაკის პარკის ეს კონკრეტული საქმე მაძლევს სტიმულს, რომ ბევრი რამის გამოსწორება შეიძლება. მთავარია მონდომება, საქმისადმი სიყვარული და პრინციპულობა. ყველაზე მთავარი კი მხარდაჭერაა, რასაც ჩვენ მუდმივ რეჟიმში ვგრძნობთ და რისთვისაც მადლიერი ვართ. დარწმუნებული ვარ, რომ ერთიანი ძალისხმევით იმ პრობლემების მოგვარებას შევძლებთ, რომელიც დღეს ამ ქალაქში მცხოვრებ თითოეულ ადამიანს აწუხებს“,** — განაცხადა თბილისის მერმა.

* * *

**პარტიის თავმჯდომარე ყველაფერს აკეთებს, რათა გუნდი გაერთიანდეს!**

თბილისის მერი კახა კალაძე მადლობას უხდის პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეს ბიძინა ივანიშვილს, რომელიც საპარლამენტო უმრავლესობის შეხვედრებში პირადად მონაწილეობს და გუნდის გასაერთიანებლად ყველაფერს აკეთებს.

როგორც კალაძემ განაცხადა, შეხვედრაზე ყველა იმ პრობლემურ საკითხზე მსჯელობენ, რომელიც ბოლო პერიოდში გუნდის შიგნით დაგროვდა.

**— ალბათ, ხედავდით, ბოლო დროს როგორ ვითარდებოდა მოვლენები — იყო აზრთა სხვადასხვაობა კონკრეტულ საკითხებზე, იყო ისეთი განცხადებები თანაგუნდელების მიმართ, როგორიც ნამდვილად არ არის მისაღები და სასურველი. მსჯელობა მიმდინარეობს ყველა პრობლემურ საკითხზე. მე მივესალმები ამ შეხვედრას. ასევე, მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო პარტიის თავმჯდომარეს, რადგან ის თავად მონაწილეობს ამ შეხვედრაში და ყველაფერს აკეთებს, რათა გუნდი გაერთიანდეს. ასევე, მადლობა მინდა გადავუხადო პარლამენტის თავმჯდომარეს ირაკლი კობახიძეს, რადგან მისი როლიც მნიშვნელოვანია, რათა პარლამენტში იყოს ერთსულოვნება, ერთიანი მიდგომები. ჩვენ შეიძლება, სხვადასხვა საკითხზე გვქონდეს განსხვავებული მოსაზრებები და ეს ნორმალურიც არის, ყველა ერთ აზრზე ვერ ვიქნებით, მაგრამ მსჯელობა უნდა მოხდეს გუნდის შიგნით. ასე რომ, მადლობა ბატონ ბიძინას და ბატონ ირაკლის ამ ჩართულობისთვის. ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს ერთობა და ერთსულოვნება შენარჩუნებული იყოს,** — განაცხადა კახა კალაძემ.

# ეკა ბესელია სერგო მეთოფიშვილის წინააღმდეგ სამართლებრივ დავას იწყებს

**საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ეკა ბესელია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრი სერგო მეთოფიშვილის წინააღმდეგ სამართლებრივ დავას იწყებს.** როგორც ბესელიამ განაცხადა, მეთოფიშვილის განცხადებების რეაგირების გარეშე დატოვება არ შეიძლება.

**„გუშინ მე თქვენ გითხარით, რომ ამ ადამიანზე კომენტარებს აღარ გავაკეთებ, მაგრამ ვიმოქმედებ. რას ნიშნავს ვიმოქმედებ, ახლა კიდევ რომ არ ჩავარდეს პანიკაში და არ ატეხოს ამბავი, რომ ზეწოლას ახდენენ, არა! სამართლებრივ რეაგირებას ვაპირებ. იმიტომ, რომ ვფიქრობ, როგორც იურისტი, არასოდეს მე არ მახსოვს, როდისმე რომელიმე მოსამართლეს თავისთვის უფლება მიეცეს და მსგავსი პოლიტიკური განცხადებები გაეკეთებინოს.**

**ის გახლავთ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი. არ მგონია, რომ მარტო თავის თავს ახმოვანებს. მგონია და არაფერი არ მგონია უსაფუძვლოდ,**



**რომ ახმოვანებს გარკვეული ჯგუფის პოზიციას. კიდევ უფრო უარესია ეს. ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭოში არიან ადამიანები, რომლებმაც აი, ასეთი, სრულიად მიუღებელი ფორმა აირჩიეს პოლიტიკურ გუნდთან, მმართველ გუნდთან დაპირისპირებისთვის. ეს არის პოლიტიკურ პროცესში შემოსვლა ღიად, რისი უფლებაც არ აქვს მოსამართლეს.**

**ამიტომ მოქმედებაში რას ვგულისხმობ, ვამზადებ საჩივარს, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მივმართო. არ შეიძლება ამის რეაგირების გარეშე დატოვება. მოვითხოვ, რომ დაიწყოს დისციპლინური წარმოება ამ მოსამართლის მიმართ. მაგრამ არ ვუყურებ ამ პროცესს საბჭოს დონეზე დასატოვებელს და ვაპირებ, რომ ამ პროცესს ბოლომდე მივყვე, ყველა ინსტანციას გაივლის. და ეს იქნება მაგალითი, რომ არასდროს არც ერთმა მოსამართლემ თავს არ მისცეს უფლება, რომ პოლიტიკურ პროცესში ჩაერთოს ღიად და ეს რეაგირების გარეშე დარჩეს. მე მაინტერესებს ეს მოსამართლე, შევარდნაძის დროს პროკურატურაში მუშაობდა, მერე სააკაშვილის დროს საგამოძიებო ორგანოებში. რამე უთქვამს, იმ სრულიად ზღვარსგადასული ამბების გამო, რაც ხდებოდა? მე მახსოვს, რომ ეს ის წლები იყო, როდესაც ეს ბატონი იყო ადმინისტრაციული კოლეგიის მოვალეობის შემსრულებელი, თავგაჩეხილი, დასისხლიანებული აქციის მონაწილეები მიგვყავდა სასამართლოში და მერე ამათ აპატიმრებდნენ, ნაცვლად იმისა, რომ მოძალადეები დაესაჯათ. ამ როლში მყოფი ადამიანები რომ ასე გვესაუბრებიან, მე მგონია, რომ რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს“,** — განაცხადა ბესელიამ.

# კორპუსი, რომელშიც აფეთქება მოხდა, კონსტრუქციულად მყარია!

**საბურთალოს რაიონის გამგებლის ინფორმაციით, ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, თბილისში, ავთანდილის ქუჩაზე, მდებარე კორპუსი, რომელშიც აფეთქება მოხდა, კონსტრუქციულად მყარია.**

გაიოზ ვასაძის განცხადებით, გამგეობას უკვე აქვს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა შენობის მდგრადობასთან დაკავშირებით. შენობა მყარია, თუმცა მეექვსე სართული, სადაც აფეთქება მოხდა, განსაკუთრებულ რეაბილიტაციასა და გამაგრებას საჭიროებს.

**„შენობა კონსტრუქციის მხრივ არის მდგრადი, აღინიშნება უმნიშვნელო დაზიანებები. ამასთან, სერიოზული დაზიანებებია მეექვსე სართულზე, მესამე-მეოთხე კატეგორიის. გვაქვს სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს რეკომენდაციები და სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების პროცესში მათ გავითვალისწინებთ. სამუშაოების დასრულების შემდეგ მოქალაქეებისთვის კორპუსი უსაფრთხო იქნება“,** — აცხადებს გაიოზ ვასაძე. ამ ეტაპზე კორპუსის 48 ოჯახი ქირით არის გასული, რომლის თანხას მერია უზრუნველყოფს. სასტუმროებში ცხოვრობს ოთხი ოჯახი, საიდანაც ორი დღეს ბინებში ასევე ქირით გადავა.



# საქართველოს სათანადო პასუხი უნდა გავცეთ!



**აზერბაიჯანული გამოცემა „НОВОЕ ВРЕМЯ“ ახალქალაქში მიხეილ ავაგიანის ბიუსტის დადგმას მწვავე სტატიით ეხმაურება, რომლის ქართულენოვან, მცირედ შემოკლებულ ვერსიას საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობს:**

**ჩვენთან, აზერბაიჯანში, რატომღაც მიღებულია, რომ მეზობელი საქართველო არა მხოლოდ მეგობარ ქვეყნად უნდა მივიჩნიოთ, არამედ სტრატეგიულ პარტნიორადაც. ეს თვალსაზრისი სადაო არ არის, თუმცა გარკვეული დონით (თუ ეკონომიკურ ურთიერთობებს გავითვალისწინებთ) ეს ნამდვილად ასეა. მაგალითად, ყველა ჩვენი სტრატეგიული ნავთობ და გაზსადენები ტრანზიტით საქართველოს ტერიტორიაზე გადის. ამასთან, ჩვენი მეზობლის უახლესი ისტორიის ყველაზე რთულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მომენტებში მას მუდამ გვერდით ედგა აზერბაიჯანი და ენერგორესურსებს აწვდიდა — შეღავათიანი ფასებით და ხშირად უფასოდაც. აზერბაიჯანული ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკაში ასობით მილიონი დოლარის ოდენობით არის ჩადებული. გარდა ამისა, ნავთობკომპანია „სოკარი“ საქართველოს ბევრ სოციალურ პროექტშია ჩართული.**

რა თქმა უნდა, ჩვენს ქვეყნებს ბევრი რამ აქვთ საერთო: **ორივე — აზერბაიჯანიც და საქართველოც მნიშვნელოვნად დაზარალდნენ სეპარატიზმისაგან. ამასთან დაკავშირებით სრულიად გაუგებარია ქართველი „სტრატეგიული მეგობრების“ უკიდურესი არამეგობრული გამოხდომა ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. გავიხსენოთ, რომ ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ, საქართველოში საპრეზიდენტო წინასაარჩევნო კამპანიის დროს ერთ-ერთმა კანდიდატმა, რომელმაც საბოლოო ჯამში პრეზიდენტის სავარძელი მაინც დაიკავა — სალომე ზურაბიშვილმა, საქართველოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ადგილობრივ კომპაქტურად მცხოვრებ სომხების წინაშე გამოსვლისას თავს უფლება მისცა აზერბაიჯანელების წინააღმდეგ შეურაცხმყოფელი განცხადებები გაეკეთებინა. როგორც არ ეცადნენ მისი მომხრეები ამ უკადრისი საქციელის მიჩქმალვას, მას მაინც ძალიან ცუდად გამოუვიდა. საქართველოს ამჟამინდელი პრეზიდენტის (და მთლიანად მთავრობისაც) პროსომხური პოზიცია აშკარაა. თბილისის დღევანდელი ხელისუფლების პროსომხური და ანტიაზერბაიჯანული განწყობა იმ პროვოკაციის შემდეგ, რაზედაც ქვემოთ ვისაუბრებთ, უკვე არანაირ ეჭვებს აღარ ტოვებს. თვითონ განსაჯეთ.**

აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ კომენტარი გააკეთა 20 იანვარს მიხეილ ავაგიანისათვის ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფ.ბულაშენში ძეგლის დადგმის თაობაზე. ეს ის მიხეილ ავაგიანია, რომელიც ყარაბაღის ოკუპირებაში მონაწილეობდა. როგორც ჩვენი დიპლომატიური უწყების პრესსამსახური იტყობინება, „მიხეილ ავაგიანისთვის ბიუსტის დადგმის გამო, რომელიც მთიანი ყარაბაღის ოკუპაციასა და აზერბაიჯანული მოსახლეობის დახოცვა-მკვლელობებში მონაწილეობდა, ჩვენი ქვეყნის ელჩი დაუყონებლივ შეხვდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს და ოფიციალური ბაქოს პროტესტი გააცნო. ამავე დროს საქართველოს ელჩი აზერბაიჯანში მიწვეულ იქნა საგარეო საქმეთა სამინისტროში, სადაც მას მოსთხოვეს, გადაუდებელი ზომები მიეღო ხსენებულ შემთხვევასთან დაკავშირებით, რომელიც არ შეესაბამება ჩვენს ქვეყნებს შორის არსებულ სტრატეგიულ პარტნიორულ ურთიერთობებს. ამ საკითხს აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტრო აკონტროლებს“.

უდავოა, რომ ეს ფაქტი ერთობლივ ქართულ-სომხურ პროვოკაციას წარმოადგენს, აზერბაიჯანის წინააღმდეგ მიმართულს. საქმე ხომ იმ ტერორისტს ეხება, რომელიც უშუალოდ, პირადად მონაწილეობდა ხოჯალის გენოციდში და აზერბაიჯანის ტერიტორიის ოკუპირებაში! გაუგებარია მხოლოდ ოფიციალური თბილისის მოქმედების ლოგიკა, რომელიც აჰყვა სომეხ ნაციონალისტებს. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ძეგლის დადგმის დროც შემთხვევით არ არის შერჩეული. როგორი ცინიზმით სავსე უნდა იყოს ადამიანი, რომელმაც იცის, თუ რას ნიშნავს 20 იანვარი აზერბაიჯანისთვის და ამ დროს ნებას აძლევს სომეხ პროვოკატორებს სწორედ ამ დღეს გაუხსნან ძეგლი ტერორისტს!

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს თვითონაც აწუხებს სეპარატიზმი. უფრო მეტიც — სომხურ სეპარატიზმს ახალქალაქში დიდი ხანია, თავი აქვს წამოყოფილი. იქაური სომხები არა მარტო უბრალო ავტონომიას მოითხოვენ, არამედ სრულ დამოუკიდებლობას საქართველოსაგან და თუ ასეთი მეთოდებით ცდილობს თბილისი სომხების დაწყნარებას, რომ იქნებ უარი თქვან თავიანთ სეპარატისტულ მოთხოვნებზეო, მაშინ ქართველები ძალიან ღრმად სცდებიან. ტერორისტებისა და სეპარატისტების გმირებად შერაცხვით, მათთვის ძეგლებისა თუ ბიუსტების დადგმით საქართველო სულ მალე სომხური შოვინიზმის წინაშე დადგება, ანუ ბუმერანგის პრინციპი ამოქმედდება.

**მეორე მხრივ, აზერბაიჯანი არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ქართველი ელჩის „ხალიჩაზე გამოძახებით“. ანტიაზერბაიჯანული გამოხტომები ადრეც ხდებოდა, მათ შორის მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდშიც — აზერბაიჯანული სკოლების დახურვა, ისტორიულ-კულტურული ძეგლების უგულვებელყოფა, აზერბაიჯანელი მასწავლებლების გათავისუფლება და, უბრალოდ, რიგითი აზერბაიჯანელების დევნა, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობენ საქართველოში.**

ბოლო 15 წლის განმავლობაში საქართველო 150 ათასზე მეტმა აზერბაჯანელმა დატოვა, ამიტომაც ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების რეაქცია საქართველოში სომეხი ტერორისტის ძეგლის გახსნის გამო ადეკვატური უნდა იყოს. ყველა შემთხვევაში, ქართველებს უფასო ეკონომიკური დახმარება მაინც უნდა შევუწყვიტოთ. ენერგორესურსების შეღავათიანი ფასით მიწოდებაზეც უნდა დავფიქრდეთ — ალბათ, უპრიანი იქნება გაზი და ნავთობი მსოფლიო ფასებში მივყიდოთ. ძალიან საეჭვოა, რომ მხოლოდ ქართველი ელჩის გამოძახებით თბილისი მსგავს ანტიაზერბაიჯანულ პროვოკაციებზე უარს იტყვის. აშკარაა, რომ ძეგლის დადგმა იმ სომეხი ტერორისტისათვის, მკვლელისათვის, რომლის ხელები უდანაშაულო, მშვიდობიანი ადამიანების სისხლშია გასვრილი, ყოველ აზერბაიჯანელში აღშფოთებას იწვევს. ამიტომაც მკაცრი რეაქცია დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს. ეს უკვე ჩვენი ღირსების საქმეა.

„NOVOYE-VREMYA“
(აზერბაიჯანი)

## ქარიშხალი ჭიქაში

**ჩვენს ძვირფას აზერბაიჯანელ კოლეგებს გამოცემა „ნოვოე ვრემიადან“ გულწრფელად უნდა ვურჩიოთ, რომ ასე გაბრაზება და ცეცხლზე ნავთის დასხმა ძალიან შორს დგას ჩვენი ქვეყნების და ხალხების ჭეშმარიტი მეგობრობისა და საქმიანი ურთიერთობისგან. ასეთ უმნიშვნელო ფაქტებზე ყურადღების გამახვილება, აღშფოთება და ერთი სოფლელი სომეხი ბიჭისთვის 20 წლის წინათ მალულად გახსნილი ბიუსტის პატივგება, ახალი პოლიტიკური კონფლიქტის საბაბად არ უნდა ვაქციოთ. გაზეთი, ტელევიზია თუ საინფორმაციო გამოცემა მხოლოდ მშვიდობას, ნდობის აღდგენას და მეგობრობის განმტკიცებას უნდა უწყობდეს ხელს. სამწუხაროდ, თქვენი გადაჭარბებული ყურადღება და ფაქტის გაზვიადება არის „ქარიშხალი ჭიქაში“ და მეზობლებთან დიპლომატიურ ურთიერთობაში გამოწრთობილი საქართველო, მისი პრეზიდენტი, მთავრობა და პარლამენტი, ამ პრობლემასაც ადვილად მოაგვარებენ...**

**„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია**

## შალიკოს ახალი ვირტუალური ქინთვები!..




**„ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერი შალვა ნათელაშვილი აშშ-ის ფედერალურ ბიუროს პარლამენტის დეპუტატ შოთა შალელაშვილის და ბიძინა ივანიშვილის მიმართ საერთაშორისო ჰაკერულ ფაქტზე გამოძიებისკენ მოუწოდებს.**

ნათელაშვილი ამბობს, ივანიშვილმა, შალელაშვილსა და რუსეთის სპეცსამსახურების წარმომადგენლებთან ერთად, მსოფლიო ბანკების დაყაჩაღება დაიწყეს.

**„სანამ ე.წ. მმართველი პარტია ქურდულ შეკრებას ატარებს ოლიგარქთან, მინდა, გაცნობოთ, რომ საქართველო გახდა შავი ფულის გასარეცხი უზარმაზარი პოლიგონი. ბიძინა ივანიშვილმა არ იკმარა ნარკოტიკებით ნაშოვი მილიარდები და შეუდგა ჰაკერული გზით მსოფლიო ბანკების დაყაჩაღებას, რა მიზნითაც მოსკოვიდან ჩამოიყვანა კრიმინალი შოთა შალელაშვილი, რუსეთის სპეცსამსახურის წარმომადგენლებთან ერთად ამ ჯგუფმა მარტო მორგანის ბანკიდან მოხსნა ნახევარი მილიარდი დოლარი, ამას დაამატეს მილიარდნახევარი სხვაგან მოხსნილი დოლარები, შემოიტანეს საქართველოში, რომელიც გაათეთრეს გლდანში არსებულ ბიტოინების საწარმოში და ბიტკოფიურის მეშვეობით, რომელიც თანაინვესტირების ივანიშვილისეულ ფონდთან მოღვაწეობს და ქვეყნიდან გააქვს სიმდიდრე და მთელი ეს თანხები დარჩა არა საქართველოში, არამედ გადაირიცხა ვირჯინისა და მარშალის კუნძულებზე, ივანიშვილის საიდუმლო კომპანიათა ანგარიშებზე.**

**ჩვენ ვთხოვთ აშშ-ის გამოძიების ფედერალურ ბიუროს, აღძრას სისხლის სამართლის საქმე და დაიწყოს გამოძიება ყაჩაღ შალელაშვილის და ასევე, რა თქმა უნდა, ივანიშვილის მიმართ საერთაშორისო ჰაკერიზმის ამ უპრეცედენტო ფაქტზე. ჩვენ ვთხოვთ აშშ-ის ვაჭრობის მინისტრს, მუნიჩს, განახორციელოს ფინანსური სანქციები შოთა შალელაშვილის ანგარიშებზე, რომელიც საუბედუროდ, იმავდროულად საქართველოს პარლამენტის დეპუტატია,“** — განაცხადა შალვა ნათელაშვილმა ბრიფინგზე...

## ჯაშუშობის ბრალდებით საქართველოს მოქალაქე დააკავეს

**ოკუპირებულ აფხაზეთში საქართველოს მოქალაქე ჯაშუშობის ბრალდებით დააკავეს. როგორც აფხაზეთის ე.წ. უშიშროების სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ჩხრეკისას დაკავებულის კუთვნილ დამხმარე ნაგებობაში ნაპოვნია ხელყუმბარა, ვაზნები და სამხედრო-საინჟინრო დანიშნულების ელექტროდეტონატორი.**

დაკავებული, ტყვარჩელის რაიონ სოფელ წარჩეს მკვიდრი, 1962 წელს დაბადებული პირია, რომელსაც საოკუპაციო რეჟიმმა უკვე შეუფარდა ორთვიანი წინასწარი პატიმრობა. საქართველოს მოქალაქე სოხუმის საგამოძიებო იზოლატორში იმყოფება.

ე.წ. უწყების ცნობით, საქმე აღძრულია 274-ე მუხლით, რაც სხვა ქვეყნისთვის ჯაშუშობას, სხვა სახელმწიფოსთვის და მისი წარმომადგენლებისთვის სახელმწიფო საიდუმლო ინფორმაციის გადაცემას გულისხმობს და ასევე 217-ე მუხლით, რაც საბრძოლო იარაღის უკანონო შეძენა-შენახვას გულისხმობს.

## ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. სავაჭრო-სამრეწველო პალატა სლოვაკეთში!

**ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. სავაჭრო-სამრეწველო პალატა სლოვაკეთში ITF SLOVAKIATOUR 2019-ის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზეა წარმოდგენილი. ე.წ. დელეგაციას სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი თამილა მირცხულავა ხელმძღვანელობს. გამოფენა სლოვაკეთის დედაქალაქ ბრატისლავაში 24 იანვარს გაიხსნა.**

ე.წ. პალატა ამ ღონისძიებაში უკვე მეორედ მონაწილეობს. გამოფენაზე წარმოდგენილია აფხაზი მწარმოებლების პროდუქცია.

„ჯი-ეიჩ-ენი“ საქართველოში სლოვაკეთის საელჩოს დაუკავშირდა, სადაც აღნიშნეს, რომ მათ მსგავსი ღონისძიების შესახებ ინფორმაცია არა აქვთ.

საქართველოს საგარეო უწყებას ამ დრომდე განმარტება არ გაუკეთებია.

**მართალი** მოგახსენოთ, ამ წერილის დაწერა მიბიძგა იმ თარიღმა, რომელიც შესრულდა 2019 წლის 6 იანვარს, როდესაც ე. წ. „თბილისის ომის“ შემდეგ პირველი პრეზიდენტი იძულებული გახდა, რომ საქართველოდან გაქცეულიყო. ამ დროს იმ მოვლენების შეფასებაში, რომელთა მომსწრე თავად გახლდით, ვეცდები, ვიყო სრულიად ნეიტრალური, ე. ი. სიმართლე არც ერთ მხარეს არ მივაკუთვნო, რომლის დადგენა, ვფიქრობ, საგანგებო კომისიის გადასაწყვეტია.**

პირველი პრეზიდენტის მომხრეებს ძალზე პრიმიტიული და გაუბრალოებული შეხედულება გააჩნიათ ამ საკითხზე. მათი თვალთახედვით მოხდა **„პუტჩი“**. გერმანული სიტყვა „პუტჩი“ ნიშნავს სახელმწიფო გადატრიალებას მცირეოდენი შეთქმულების მიერ, მაგრამ ნებისმიერ „პუტჩს“, აჯანყებას ან უფრო ფართო გაგებით რევოლუციას, წინ უძღვის კრიზისი, ამ შემთხვევაში სახელმწიფოს მმართველობაში. გამოჩენილი ფრანგი იურისტი **მორის ორიუ** (1865-1929) თავის **„საჯარო სამართლის საფუძვლებში“** ასე განმარტავს კრიზისს სახელმწიფოში: **„განსხვავება შემთხვევითობებსა და ავადმყოფობებს შორის. — სახელმწიფოს ცხოვრებაში პერტურბაციის მიზეზებს ჩვენ ვუწოდებთ შემთხვევითებს, რომლებიც მომდინარეობენ გარედან, მაგალითად, სხვა სახელმწიფოებთან ომებიდან; ავადმყოფობებს ვუწოდებთ იმ მიზეზებს, რომლებიც აღმოცენდებიან თავად სახელმწიფოს შიგნით და რომლებიც წარმოადგენენ განსაკუთრებული ძალაუფლების მოყვარულობის შედეგს, რომელიც იწვევს შეთქმულებებს, ან იდეალური პრინციპებიდან რომელიმეს უკიდურეს განვითარებას, რომელთა ჰარმონიული წონასწორობა წარმოქმნის სახელმწიფოს ნორმალურ რეჟიმს“**. მართლაც, ხომ არ შეიძლება სერიოზულად ვიმსჯელოთ, რომ ისეთი პიროვნებები, როგორებიც იყვნენ აკაკი ბაქრაძე, ნოდარ ნათაძე, მწერალი გურამ გეგეშიძე, ზურაბ კიკნაძე, პოეტები ემზარ კვიტაიშვილი, არჩილ სულაკაური და სხვა მრავალი ჩვენი ინტელიგენციის წარმომადგენელი (ხოლო ინტელიგენცია ერის გონებაა!), რომლებიც უპირისპირდებოდნენ პირველ პრეზიდენტს, ყველა უკლებლივ **„კრემლის აგენტია“** და „პუტჩისადმი“ ხელშეწყობით დაამხეს არსებული ხელისუფლება! ან ჩვენი პატრიარქი, რომელსაც პირველმა პრეზიდენტმა თავის დაბადების დღეზე სუფრა აკურთხებინა, შემდეგ, როდესაც მას აღარ მიემხრო, უცბად „კგბ“-ს აგენტი გახდა, რასაც **„ამხელდნენ“** პრეზიდენტის მომხრეები, როდესაც მსვლელობას აწყობდნენ ჯოხარ დუდაევის პორტრეტებით და პატრიარქის წითლად გადახაზული სურათებით ხელში! ეს ფაქტებია, რომელთა შესახებაც დღეს არაფერი იცის ახალგაზრდობამ. დღეს პირველი პრეზიდენტის მომხრეები ნიშნის მოგებით საუბრობენ იმაზე, რომ თენგიზ კიტოვანი გაქცეულია და მოსკოვში ცხოვრობს, მაგრამ ის კი ავიწყდებათ, რომ პრეზიდენტის სიკვდილის მერე მისი ოჯახი წლების მანძილზე მოსკოვში ცხოვრობდა, რაც, თავისთავად, დანაშაულს არ წარმოადგენს. მაგრამ საქართველოს პირველი პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა ხომ თბილისშია და არსად გაქცეულა! ის გამუდმებით ითხოვს სიმართლის დადგენას და ამისთვის კომპეტენტური კომისიის შექმნას. ყოველი ნეიტრალური და სიმართლის მოყვარული მოქალაქე, ვფიქრობ, ამ მოთხოვნას უნდა შეუერთდეს.

ახლა თავად თემის შესახებ, ანუ აქვს თუ არა უფლება ქრისტიანს, მონაწილეობა მიიღოს ხელისუფლების დამხობაში!? ამის თაობაზე თავის აზრს გვიზიარებს გერმანიაში გამოცემული, გამოჩენილი ფილოსოფოსისა და თეოლოგის **კარლ რანერის** რედაქტორობით, დიდი თეოლოგიური ენციკლოპედია (ფრაიბურგი 1986, ტ. 8). მისი მიხედვით პავლე მოციქულის მოთხოვნა ურყევია: **„დაე, ყოველი სული ხელმწიფებას დაემორჩილოს“** (რომაელთა მიმართ, 13, 1). მაგრამ როდესაც ხელმწიფება თავად ღალატობს იმას, რისთვისაც იგი მოწოდებულია, მაშინ თავად ხდება მოჯანყე და დამამხობელი. აქედან გამომდინარეობს, რომ ქრისტიანი ასეთ ხელმწიფებას ველარ დაემორჩილება.

ახლა მივუახლოვდით საკითხს — აბსოლუტურად დასაგმობია თუ არა ნებისმიერი რევოლუცია. ამასთან დაკავშირებით მსურს, მოვიყვანო აზრი ევროპული რევოლუციების მკვლევარის, ფილოსოფოს **ფრიდრიხ როზენშტოკ-ჰიუსის (1888-1973. დაიბ. ებრაელთა ოჯახში, რელიგიური გამოცხადების მერე, 1906 წელს მიიღო ქრისტიანობა,** წიგნიდან **„ევროპული რევოლუციები და ნაციების ხასიათი“, იენა, 1931): რევოლუცია,** — ამბობს ავტორი — **მიუხედავად მასთან დაკავშირებული უბედურების და მსხვერპლისა, მაინც შემოქმედებითი ძალაა. ეთიკური შეფასებებისგან დამოუკიდებლად, რევოლუციები გვევლინებიან მომწესრიგებელ და მაორგანიზებელ იარაღად მსოფლიო ისტორიისა.**

აქვე ურიგო არ იქნება ცნობილი ფილოსოფოსის **კარლ პოპერის** აზრის გაცნობა რევოლუციაზე. იგი წერს: **„არა ყველა შემთხვევაში და არა ყველა გარემოებაში პირადად ვარ წინააღმდეგი ძალადობრივი რევოლუციისა. მე ვეთანხმები შუა საუკუნეების და რენესანსის ზოგიერთ ქრისტიან მოაზროვნეს, რომლებიც აანალიზებდნენ ტირანიის დაშვების პრობლემას, იმაში, რომ ტირანიის დროს ძალადობრივი რევოლუციის გამართლება შეიძლება, რადგან ამდაგვარ სიტუაციაში უბრალოდ არ შეიძლება იყოს სხვა გამოსავალი, გარდა აჯანყებისა“**. რაც შეეხება სამართლებრივ თვალსაზრისს, ამისთვის მივმართავ დიდ ფრანგ იურისტს მორის ორიუსს — ასე მოიხსენიებს მას გამოჩენილი მოაზროვნე და სამართალმცოდნე კარლ შმიტი თავის **„მიწის ნომოსში“**. მივმართავ ორიუსის **„საჯარო სამართლის საფუძვლებს“**, სადაც იგი წერს: **„პირველ ყოვლისა, აღიძვრის კითხვა, დასაშვებია თუ არა აჯანყება ხელისუფლების წინააღმდეგ, სანამ აჯანყების მომენტამდე ის არსებობდა, როგორც კანონიერი ხელისუფლება. ეს მო-**

# როგორც გამარჯვებულნი, ასევე მსხვერპლნი...



## აქვს თუ არა ქრისტიანს უფლება, მონაწილეობა მიიღოს ხელისუფლების დამხობაში?!

**რალის უმაღლესი პრინციპების საკითხია. მაგრამ საჭიროა, დავინახოთ განსხვავება რევოლუციასა და სახელმწიფოებრივ გადატრიალებას შორის. ჩვენ გვაქვს, ზუსტი გაგებით, რევოლუციასთან საქმე, როდესაც ქვეშევრდომნი ჯანყდებიან ხელისუფლების წინააღმდეგ; ჩვენ სახელმწიფო გადატრიალებასთან გვაქვს საქმე, როდესაც თავად ხელისუფლება ჯანყდება ძალზე დეცენტრალიზებულ და საქმეთა ძალზე რევოლუციური ვითარების წინააღმდეგ. იმ შემთხვევებში, როდესაც პოლიტიკური ძალაუფლება აჯანყების მომენტამდე განიხილებოდა როგორც კანონიერი ხელისუფლება, მაგრამ, რომელიც გადაგვარდება აუტანელი ტირანიის ფორმაში, იძირება დანაშაულებრივ უსამართლობაში ან სავსებით ღიად ღალატობს თავის ქვეშევრდომთა ინტერესებს, მაშინ თვით თეოლოგიაც აღიარებს აჯანყების სამართლიანობას... იმ შემთხვევებში, როდესაც აჯანყებას ან სახელმწიფო გადატრიალებას შედეგად ახლავს კანონიერი ხელისუფლების დამხობა, საკითხი დგება ფაქტობრივ ხელისუფლებათა შესახებ, რადგან ქვეყანას არ შეუძლია, იყოს სახელმწიფო ძალაუფლების გარეშე, ამიტომ იმწამსვე ხდება რევოლუციური მთავრობის ორგანიზება. რასაკვირველია, თუკი რევოლუციური ხელისუფლება შეინარჩუნებს ძალაუფლებას, მაშინ თვით იგი გადაიქცევა კანონიერ ხელისუფლებად, მიღებული იქნება ამისი გამფორმებელი კანონები და ქვეშევრდომნი, ბოლოს და ბოლოს, შეუერთდებიან კანონიერების ამ ახალ გამოვლინებას“.**

სამართლებრივი მხარიდან გადავიდეთ ფილოსოფოსთა მოსაზრებებზე და ასევე მოკლედ განვიხილოთ ისინი. ვინ-ვინ და **„რეაქციონერად“** აღიარებული ფრანგი **ჟოზეფ მარია გრაფი დე მესტრი** (1753-1821) თითქოს წყევლა-კრულვას უნდა უთვლიდეს ნებისმიერ რევოულციას, მაგრამ სინამდვილეში იგი უფრო ღრმად აფასებს მოვლენებს. ქვემოთ **დე მესტრის** აზრებს წარმოვაჩენ გამოჩენილი ინგლისელი ისტორიკოსისა და ფილოსოფოსის კრისტოფერ **ჰენრი დოუსონის** (1889-1970) წიგნიდან **„რევოლუციის ღმერთები“**. დოუსონი წერს: **„განმანათლებლობის წარმომადგენლები ცხოვრების ზედაპირზე იმყოფებოდნენ. ისინი უარყოფდნენ თვით იდუმალების იდეას და ყველაფერი გააკეთეს მათზე დამოკიდებული, რათა იგნორირება გაეკეთებინათ და ჩამოეშორებინათ ყოველგვარი ირაციონალური და ბნელი. მათ განმარტეს არსებობის პრობლემა, განაცხადეს, რომ ასეთი პრობლემა საერთოდ არ არსებობს. დე მესტრი, თავის მხრივ, მთელ თავის ყურადღებას ცხოვრების მეორე მხარეს აქცევდა და მიაჩნდა, რომ ტანჯვა და ამქვეყნიური ბოროტება — ეს არის გასაღები მისი გაგებისათვის. ამ სიჯიუტემ, რაც ვლინდებოდა ცხოვრების ბნელი ასპექტების მნიშვნელობის მიმართ, დე მესტრს მოუპოვა პესიმისტის, ფატალისტისა და კაცობრიობის მტრის რეპუტაცია, რაც, უეჭველია, შოკში აგდებდა ადამიანებს, რომლებიც გაზრდილი იყვნენ XVIII საუკუნის ზედაპირული ოპტიმიზმის აზროვნებაზე. მაგრამ დე მესტრი, ალბათ, უპასუხებდა, რომ ფილოსოფია, რომელიც ამდაგვარი შემთხვევების უგულებელყოფას ახდენს, ამით თავად რეალობის არსის იგნორირებას ეწევა. ომი და რევოლუცია — ეს არ არის უბედური შემთხვევები, ისინი გახლავთ თავად ქსოვილი ისტორიული ცვლილებისა. ისინი არ არიან ინდივიდთა თავისუფალი არჩევანის შედეგი. ადამიანები, რომლებიც მოჩანან — როგორც გამარჯვებულნი, ასევე მსხვერპლნი — წარმოადგენენ მხოლოდ უპიროვნო ძალთა ინსტრუმენტებს, რომლებიც მიემართებიან მიზნობრივად დანიშნული გზებით, რომელთა წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია. საზოგადოება ინდივიდთა ჯამს კი არ წარმოადგენს, რომლებმაც გაცნობიერებულად გადაწყვიტეს გაერთიანება ადამიანთა დიდი რიცხვის დიდი ბედნიერებისათვის. ის ცოცხალი დინებაა, რომლის ზედაპირი შეიძლება, ნაწილობრივ გაშუქდეს გონების მოციმციმე შუქით, მაგრამ, რომელიც სათავეს იღებს მიწისქვეშა წყაროებიდან და მიედინება იდუმალი ზღვისკენ. ამ განუწყვეტელ დინებაში, ძალთა ამ მორევში, სადაც ყველა საგანი ჩაივლის და მაინც იმადვე რჩება, როგორ შეიძლება განასხვავო მიზეზი ქმედებისაგან და საშუალებები — მიზნისაგან? და თუკი საქმენი ამდაგვარად არის მთელი ისტორიის მანძილზე, მაშინ ეს უფრო მეტადაა რევოლუციის დროს, როდესაც ცვლილებათა დინება უეცრად მატულობს და თავის გზაზე წალეკავს ყოველივე მტკიცედ დადგენილს. ბრძენკაცებს და სულელებს, გმირებს და დამნაშავეებს — ყველას თავისი წვლილი შეაქვს მის წარმატებაში, სურთ მათ მისდამი წინააღმდეგობა თუ თავიანთი მიზნებისაკენ მისი წარმართვა. თვით ის ადამიანები, რომლებიც, როგორც ჩანს, ხელმძღვანელობდნენ და ბატონობდნენ მასზე, აღმოჩნდებოდნენ პასიურ იარაღად შემთხვევათა ხელში და იქნენ დამსხვრეულნი და გვერდით მოსროლილნი, როდესაც მათი დრო გავიდა, მაგრამ ამ სანახაობას ადამიანური უსუსურობისას, რაიმე შეცვალოს ისტორიის დინებაში, დე მესტრი არ მიჰყავდა სასოწარკვეთამდე. იდუმალ ძალაში, რომელიც ჩალის ღერივით თან წარიტაცებს ადამიანებს გამალებულ დინებაში, იგი ხედავდა ღვთის ძლიერებას, რომელიც ამსხვრევს, რათა შექმნას, და ამოშლის, რათა ხელახლა ჩაწეროს. დე მესტრი განიხილავდა რევოლუციას, როგორც განმწმენდელ ცეცხლს, რომელშიც ბოროტების ძალები არიან ამოქმედებულნი, თავიანთი ნების საწინააღმდეგოდ, როგორც შუამავალნი განწმენდისა და გარდაქმნისა“.**

**„ამ აზრით შეიძლება ითქვას, რომ ღვთაებრივი განგება მსოფლიოს და მის პროცესს ეპყრობა, როგორც აბსოლუტური ცბიერება. ღმერთი აიძულებს ადამიანებს, იცხოვრონ თავიანთი კერძო ვნებებით და ინტერესებით, მაგრამ ამ ცხოვრებიდან აღმოცენდება მისი განზრახვების განხორციელება, სრულიად სხვა, ვიდრე დაინტერესებული პიროვნებების ინტერესები, რომლებსაც იგი იყენებდა ამ დროს“ (კუნო ფიშერი, ახალი ფილოსოფიის ისტორია, ტ. VIII, ჰეგელი).**

დასასრულ, მივმართავ ქალბატონ პრეზიდენტს სალომე ზურაბიშვილს, რომლის ამომრჩეველთა შორის ამ სიტყვების ავტორიც გახლდით. ისეთივე გულისხმიერებით, როგორც თქვენ გამოეხმაურეთ პირველი პრეზიდენტის ოჯახის მოთხოვნას და მათი საქმე პარლამენტს გაარჩევინეთ, ასევე მოგმართავთ, რომ იმავე გულისხმიერებით პარლამენტში შეიქმნას კომისია, რომელიც დაადგენს მტყუანსა და მართალს 1991-92 წლების აჯანყების მოვლენაში. ამ კომისიაში აუცილებლად ჩართული უნდა იყოს საქართველოს პირველი პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა, რაც შეეხება პირველი პრეზიდენტის მომხრეებს, ისინი პარლამენტში უხვად არიან წარმოდგენილნი.



**ვიქტორ რცხილაძე**



# სასამართლოს შესეული გიენები

**ყველამ იცის გამონათქვამი — ყვავმა ყვავს უთხრა, შე ჩემზე შავოო.**

**გაგიკვირდებათ და ეს ფრაზა ზუსტად შეესაბამება მოსამართლეთა უვადოდ გამწესებისა და იუსტიციის საბჭოს გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს.**

არ დაგიმალავთ და ძალიან ამაზრზენად და დამთრგუნველად ჩანს ამ პროცესში ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური ჩართულობა. ამაზრზენად იმიტომ, რომ ეს ორგანიზაციები მუდმივად თანამშრომლობის რეჟიმში იყვნენ იმ „საბჭოსთან“ და იმ მოსამართლეებთან, რომელიც ბოკერია-სააკაშვილის რეჟიმის ნოტარიუსებად, აბსოლუტურად ყველა დანაშაულის „გამპრავებლები“ და ძალადობრივი სისტემის უშუალო შემსრულებლები იყვნენ, ხოლო დამთრგუნველი იმიტომ, რომ სამოქალაქო საზოგადოების სხეულზე გაჩენილი ეს მუწუკები, ცდილობენ, არ დაკარგონ თავიანთი გავლენა იმ ყველაზე სენსიტიურ და უმნიშვნელოვანეს სფეროზე, რასაც სასამართლო სისტემა და მისი აუცილებელი რეფორმირება ჰქვია.

როდესაც ვუყურებ, ან ვუსმენ არასამთავრობოებსა და იუსტიციის საბჭოს შორის მიმდინარე დაპირისპირებას, ან თუნდაც მურუსიძის და ვინმე მშვენიერაძის „დებატებს“, ვხედავ ცხოველთა სამყაროზე გადაღებულ იმ დოკუმენტურ ფილმს, სადაც ლეშთან შეგროვილი გიენები თან გლეჯენ ხორცს და თან ერთმანეთს უღრენენ...

ჯერ კიდევ 2018 წლის 5 ივლისს იუსტიციის საბჭოსა და არასამთავრობო სექტორს შორის დაპირისპირებაზე სოციალურ ქსელში ვწერდი:

„იუსტიციის უმაღლესი საბჭო „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს კვლევებს“ უნდობლობას უცხადებს-მეთქი.

პარლამენტის უმრავლესობა, პოლიტიკური სპექტრის დიდი ნაწილი, სახელისუფლებო სტრუქტურები დ.ა.შ. უნდობლობას უცხადებენ ამ ე.წ. „სამოქალაქო საზოგადოების“ კვლევებს და მონიტორინგებს, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, ხოკერას მიშტერებული ბაყაყებივით არიან და შეშინებულები თავისით უძვრებიან ხახაში.

კომისიებში შეჰყავთ, უამრავ „პროექტს უფინანსებენ“, „ჭკუას“ ეკითხებიან და მგონი ტუალეტშიც არ დადიან მათი „რეკომენდაციების“ გარეშე.

ჰოდა მსგავსი „განცხადებებით“ ნუ გვაბოლებთ, აღარ მოაქვს „პრიხოდი“, რამე სხვა მოიფიქრეთ“.

დღესაც ასეა და სამწუხაროდ მედიის უაზრო პოზიციის გამო (იმუშაონ ან შეკვეთით, ან ე.წ. „ცნობად“, მათთვის ცნობად რესპონდენტებთან, ხოლო ნამდვილ პროფესიონალებს იგნორი გაუკეთონ), კვლავ ტივტივებენ და საშინელ სუნს აყენებენ.

საქართველოს 200 წელია, არ ჰქონდა ის სასამართლო სისტემა, რომელსაც ხალხში ნდობის საჭირო ხარისხი ექნებოდა. რუსეთის იმპერია, კომუნისტები, უბედური 90-იანი წლები და ბოლოს — ნაცები.

ხალხის უნდობლობა მუდამ გადაუჭრელი პრობლემა იყო.

მსოფლიომ სასამართლო სისტემის ჩამოყალიბებას თავისი ათასწლიანი გამოცდილებიდან ფაქტობრივად უკვე გასცა პასუხი:

**1. რელიგიური სასამართლო — დღეს მხოლოდ შარიათის სასამართლო შემორჩა;**

**2. კონტინენტური სამართალი — რაც დღეს ევროპის უმრავლეს ქვეყნებშია და ეს სისტემა დგას ასწლეულებით ჩამოყალიბებულ სასამართლო სისტემებზე, მოსამართლეთა კორპუსზე, რომელიც თავის დროზე თანდათან ფეოდალური სამართლიდან იმ სამართალზე გადმოვიდა, რომელიც დღეს არსებობს;**

**3. ამერიკული ვარიანტი — ამერიკას თავისი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების დასაწყისში სასწრაფოდ სჭირდებოდა სასამართლოს მიმართ ხალხის ნდობა და ამიტომ ამ გზით წავიდნენ. მოსამართლის და პროკურორის ხალხის მიერ პირდაპირი წესით არჩევა, ბრალეულობის ვერდიქტის გამოტანა ხალხის მიერ, ანუ ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუციის გამოყენებით დ.ა.შ.**

სპეციალისტების აზრით, ჩვენთვის ყველაზე მისაღები, არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, მაინც ამერიკული ვარიანტია.

აშშ-ში უზენაესი მოსამართლეობის კანდიდატს 5 დღის განმავლობაში 8-10 საათი სენატორიდან დაწყებული, თანაკლასელითა და უბრალო მოქალაქით დამთავრებული, შეკითხვებს უსვამენ.

ცნობილი ისტორიაა, 80-იან წლებში ამერიკის უზენაეს სასამართლოში რობერტ ბორკის წარდგენის შესახებ, რომელიც რონალდ რეიგანმა წარადგინა (ბორკი იყო ის გენერალური პროკურორი, რომელიც ხელმძღვანელობდა უოთერგეითის სკანდალის გამოძიებას, რამაც პრეზიდენტ ნიქსონის გადადგომა გამოიწვია).

ბორკის წინააღმდეგ მედიაში საზიზღარი კამპანია დაიწყო. როგორც ბევრი ამერიკელი თანხმდება, ეს იყო პოლიტიკური მიზნებით განპირობებული პირველი მასშტაბური შავი პიარ-კამპანია, რომელსაც მაშინდელი სენატორი და შემდგომში აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი ჯო ბაიდენი ხელმძღვანელობდა.

ბორკი ღიად აცხადებდა, რომ ლიბერალიზმი ძალით ინერგება ამერიკაში და აგრესიული ლიბერალიზმი ამერიკას დაღუპავს. ის გამოდიოდა სექსუალური აღვირახსნილობის, ამის პრაქტიკულ ცხოვრებაში პროპაგანდის წინააღმდეგ.

რა კავშირი ჰქონდა ბორკის ამ მოსაზრებებს სასამართლოსთან? პრინციპში, არც არაფერი. ის დაძირეს დემოკრატებმა ზუსტად ლიბერალიზმის კრიტიკისთვის. ე.ი. სუფთა პოლიტიკური მიზნებით (გთხოვთ, გააკეთოთ შედარება „ჩვენს“ ლიბერასტებთან, ანუ ე.წ. .არასამთავრობო სექტორთან“ და ბაიდენთან, რომლის „ქალიშვილმა“ მისი ვიცე-პრეზიდენტობის პერიოდში ცოლი მოიყვანა).

აშშ-ის უზენაეს სასამართლოში ბოლო სამი წევრი, სენატში კენჭისყრით შემდეგი შედეგებით აირჩიეს:

**სონია სოტომაიერი — 68-31.**

**ნილ გორსაჩი — 54-45.**

**ბრეტ კავანო — 50-48.**

უფრო შორსაც შეგვიძლია წავიდეთ. ამერიკის უზენაესი სასამართლოს ეპოქალური გადაწყვეტილებები ასევე მიღებული იქნა ხმების თითქმის ნახევარზე გაყოფით. მაგალითად, ერთნაირსქესიანთა ქორწინებაზე ხმები უზენაეს სასამართლოში 5-4-ზე გაიყო.

და რა? ამერიკის ერთი ნაწილისთვის ის 5 მოსამართლე არის მიუღებელი, მეორისთვის კი წინააღმდეგ წასული 4 მოსამართლე, რაც თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ აგრესიული ლიბერალიზმის შედეგია.

მიუხედავად ყველაფრისა, ამერიკა დგას ნამდვილ დემოკრატიაზე და ჰყავს უზენაესი მაკონტროლებელი — ამერიკის მოსახლეობა.

სამწუხაროდ, საქართველოში მოსახლეობას წართმეული აქვს ის უფლება, რასაც ნებისმიერი დონის ხელისუფლების კონტროლი ჰქვია. წართმეული აქვს სწორედაც რომ ყველა დონის ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ.

საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო თუ მეოთხე ხელისუფლება აშკარად უპირისპირდება მოსახლეობის ნებას და მოთხოვნებს.

სხვადასხვა სახის მანიპულაციებით ხდება კანონმდებლობის მორგება და შემდგომ ამ მორგებული კანონებით მანიპულირება.

რა უნდა ვთქვა, ან რა შუბლის ძარღვზე უნდა ველაპარაკოთ მურუსიძეს, რომელიც უტიფრად აცხადებს:

**„ნაციონალურ მოძრაობას“ უნდა შურისძიება იმ ადამიანებზე, მათ შორის ჩემი ჩათვლით, რომლებმაც მოახერხეს ის, რომ სასამართლო გახდა დამოუკიდებელი, წამოვიდა დამოუკიდებლობის გზაზე, ამიტომ მათ უნდათ, რომ „ოცნების“ ხელით მოხდეს ჩვენი დასჯა“** და, მისი თქმით, მოსამართლეების მიმართ საზოგადოებაში სიძულვილი ითესება.

**„ჩვენ წინააღმდეგ მიდის შავი პიარი, საზოგადოებაში თესავენ სიძულვილს მოსამართლეების მიმართ, მოსახლეობას აძულებენ მოსამართლეებს. არასამთავრობო ორგანიზაციამ, თუ არ ვცდები, „გამჭვირვალობამ“, გამოაქვეყნა მხოლოდ იმ მოსამართლეების ხელფასები, რომლებმაც ხმა მისცეს იმ 10 მოსამართლეს, რომლებიც წარდგენილი იყვნენ უზენაეს სასამართლოში. განა იმიტომ, რომ ისინი კორუმპირებულები არიან, განა იმიტომ, რომ დაუსაბუთებელი შემოსავალი აქვთ და ასე შემდეგ, არამედ იმიტომ, რომ ადამიანებში დაეთესათ სიძულვილი ამ მოსამართლეების მიმართ. სასამართლო სისტემის მიმართ მიმდინარეობს ზეწოლა“** და თურმე მას „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებთან შეხება არასოდეს ჰქონია:

**„ჩემზე ამბობენ, რომ მე ვარ „ნაციონალური მოძრაობის“ მოსამართლე. თქვენ შეგიძლიათ, ჩამოთვალოთ „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები, თუნდაც 50 და მე გეტყვით, რომ მათთან არასდროს არავითარი შეხება არ მქონია. არასდროს ვიცნობდი ადეიშვილს, არასდროს შევხვედრივარ მას, არასდროს მქონია შეხვედრა მერაბიშვილთან, უგულავასთან, დათო ბაქრაძესთან, მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრა მქონდა მხოლოდ ფიცის დადების დროს“,** — აცხადებს **ლევან მურუსიძე.**

ამ მართლაც უშუბლისძარღვო არსებას და კოლექტიურ მურუსიძეებს ღირსეული პასუხი პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ირმა ინაშვილმა გასცა:

**„ლევან მურუსიძე არის თავხედი, არის მატყუარა, არის ცინიკოსი, არის არასანდო, არის არამართალი, არის საზოგადოებისა და სახელმწიფოსთვის სახიფათო, მისი აზროვნების სტილიდან გამომდინარე! ამიტომ ლევან მურუსიძისგან უნდა გათავისუფლდეს ქართული სასამართლო და ეს აუცილებლად მოხდება!**

**მურუსიძე კომიკურად ცდილობს, რომ უსამართლო მოსამართლეების მიმართ საზოგადოების აბსოლუტურ უმრავლესობაში არსებული მკაცრი პროტესტი დააკნინოს და დააკავშიროს ნაცმოძრაობის ვიწროპარტიულ ინტერესთან! ვეუბნები მურუსიძეებს: თქვენ ხართ სწორედ ნაცმოძრაობის პროდუქტი! დღეს მოდიფიცირდით და შეიკარით, როგორც კლანი! თქვენ ხართ რეჟიმის მოსამართლეები! და ნებისმიერ სისტემაში დარჩებით სისტემის მოსამართლეებად! თქვენ არა მარტო არ გენდობათ ხალხი, არამედ ნაცმოძრაობის დამნაშავე ლიდერებთან ერთად ხართ გასასამართლებელნი, როგორც თავის დროზე ნიურნბერგზე გაასამართლეს სისტემის მოსამართლეები! და ამ ხელისუფლების პირობებში, ცხადია, ეს არ მოხდება, მაგრამ სხვა ხელისუფლება აუცილებლად დააყენებს თქვენნაირების პასუხისმგებლობის საკითხს. ვიმეორებ: თქვენი სახე თქვენივე გამოტანილი, მკვლელი განაჩენებია. თქვენნაირებისგან მართლმსაჯულება უნდა გათავისუფლდეს!**

**უნდა შეიცვალოს მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის წესი, რასაც მე საკონსტიტუციო განხილვებისას საჯაროდ ვაპროტესტებდი. არავითარი უვადოდ დანიშვნა! არა ვართ მზად ამ უვადოობისათვის! მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა არასწორია!“**

რუდოლფ ჰიოსე (ზოგიერთ დოკუმენტებში რუდოლფ ჰოსსე) — ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის მთავარი კომენდანტი.

მას კანონი არ დაურღვევია. რაც მაშინდელ გერმანიაში მოქმედებდა, იმას ასრულებდა და მხოლოდ ბრძანებას ასრულებდა.

სასამართლოზე, როცა პროკურორმა მისკენ ხელი გაიშვირა და თქვა — ამან 3 მილიონი ადამიანი მოკლა, სიტყვა ითხოვა — მაპატიეთ, მე მხოლოდ 2 მილიონნახევარი ადამიანი მოვსპე.

მოსამართლის შენიშვნაზე, რომ მას უნდა რცხვენოდეს ამ საზიზღარი ცინიზმისა, იკითხა — არ მესმის, რა გინდათ ჩემგან. მე ხომ უბრალოდ ციფრები დავაზუსტე.

რუდოლფ ჰიოსე მიუხედავად მისი მაღალი პროფესიონალიზმისა, არც 95% წესიერების მატარებლად და არც სისტემის მსხვერპლად არ უღიარებიათ.

მურუსიძე ჰიოსეს რეინკარნაციაა და იუსტიციის საბჭო — სს-ის მთავარი განყოფილება, რომელიც ფაშიზმის დამარცხების შემდეგ მაინც დარჩა სამართლის დამკანონებელ მთავარ ორგანოდ.

წერილს კი ზაზა ნაკაშიძისა და გამომძიებელ გაგუას დიალოგის ამონარიდით დავასრულებ (ნოდარ დუმბაძე, „თეთრი ბაირაღები“):

— შუბლს და ძარღვს კოდექსი არ ითვალისწინებს.

— ე.ი. მაგ მშრალი კოდექსის გარდა მორალური კოდექსი არ არსებობს?

მე არ მინდა ფაშისტების სასამართლო!

მე მინდა მოსამართლე, რომელიც მორალური კოდექსით ცხოვრობს და არა მხოლოდ მშრალი, ფურცელზე დაწერილი კოდექსით.

სამწუხაროდ, ამას დღეს ვერც მურუსიძეში და ვერც იუსტიციის საბჭოს მოსამართლე წევრებში ვერ ვხედავ. ვერ ვხედავ, რადგანაც ხელს ის 99.99%-იანი გამამტყუნებელი განაჩენები მიშლის, რომლებიც სააკაშვილ-ბოკერიას რეჟიმის დროს ამ მაღალი კვალიფიკაციისა და წესიერების 95%-იანი ხარისხის მქონე მოსამართლეებს გამოჰქონდათ.



**გია გაბრიჭიძე**

# მამუკა წიკლაურის მწვერვალი



2018 წლის 4-7 აგვისტოს დუშეთის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის განყოფილებისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალპური კლუბის წარმომადგენლები გუდამაყრის ხეობას ეწვივნენ. მათი მიზანი იყო გუდამაყრის ხეობისა და ხევსურეთის დამაკავშირებელი ახალი სამთო ტურისტული, წრიული მარშრუტის შერჩევა და ერთ-ერთი უსახელო მთისთვის ბურსაჭირში დაბადებული ცნობილი პოეტის, პუბლიცისტის, კრიტიკოსისა და ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლის მამუკა წიკლაურის სახელის დარქმევა. ჯგუფმა ორივე ამოცანა წარმატებით განახორციელა.

ასე რომ, გუდამაყარში უკვე არსებობს მამუკა წიკლაურის მწვერვალი.

**ვანო ამირხანაშვილი**



## მთიბლური სიმღერა

მოვიდნენ მთიბლები, გალესეს ცელები
და ყვავილოვან ველს მიადგნენ მკვლელები.

ცისფერ კესანეებს აბა რა იხსნიდათ
და ჩამოიცალნენ ცისფერი სისხლისგან.

წითელმა ყაყაჩომ ფხა ვერ აისხლიტა,
მინდორში ჩაგუბდა წითელი სისხლის ტბა.

და თეთრი გვირილა – თეთრ მკერდს რომ იხსნიდა,
უცებ დაიცალა უთეთრეს სისხლისგან.

ტიროდნენ მინდვრები, მღეროდნენ მკვლელები,
მღერით გაიარეს სათიბი ველები.

სისხლის სუნს ვერ გრძნობდნენ პრიალა ცელები
და მთიბლურს მღეროდნენ ლამაზი მკვლელები.

## არაგვთან, ბუსნის ჭალაში ვწევარ

არაგვთან, ბუსნის ჭალაში დავრჩი.
მარტო არა ვარ – გამარჯვებულ სიკვდილთან ვწევარ.
შენთვის ვიბრძოლე. დამამთავრეს წითლად შეღებეს
ჩემი პერანგი.
ვხედავდი, როგორ მკრთალდებოდნენ მაღალი მთები,
ვხედავდი, როგორ შავდებოდა თეთრი არაგვი ;
მესმოდა, როგორ ჭიხვინებდა ჩემი თეთრონი,
ისიც მესმოდა, ჩემი მკვლელი როგორ მღეროდა.
ეჰ, რატომაც არ იმღერებდა – თავს გაწონებდა,
თავს აწონებდა სილამაზით დაბარდნილ წალებს;
ეჰ, რატომაც არ იმღერებდა და იღრევებდა –
მან აიტანა გამარჯვების დროშა შენს მკერდზე
და ჩამომაგდო ყაბახიდან ოქროს თასივით.
... არაგვთან, ბუსნის ჭალაში ვწევარ
გვერდს ნუ ამივლი,
ლამაზ თვალებს ნუ ამარიდებ
და დამიტირე, გამაცოცხლე შენი ცრემლებით.

## ასე მგონია, მყინვარივით დადნება

ასე მგონია, მყინვარივით დადნება სადღაც
ჩემი მოთმენა და სიჩუმით აბალახებულ
გზებზე წამოვა ადიდებულ მდინარის მსგავსად.
თითქოს დათვი ჰყავთ მიმწყვდეული მონადირეებს,
დაჰკიჟინებენ, ქვებს ესვრიან, ჯოხებით ჩხვლეტენ,
რომ გააბრაზონ, გააანჩხლონ, გააბოროტონ,
რომ დალეწილმა მოთმინებამ და გაავებამ
დაუკითხავად გამოაგდოს იგი სოროდან –
ზოგჯერ ისეთი გრძნობაცა მაქვს...
მაშინ ფიქრები
მაღალი კლდიდან, თითქოს ციდან ქვებს აგორებენ
და იჭყლიტება სპილენძივით ტანი და სული.
მაშინ არაგვზე თმებს იშლის
ჩემი
პირიმზე – ფუძის ანგელოზი
და ჩუმად ტირის.

## ბურსაჭირი. გავლით

ვეღარ დავსხდებით საარაყე ქვაბთან – სუფრასთან
ჩვენი პაპები რომ ისხდნენ, ისე.
მტკიცედ, ამაყად, ღირსეულად ვერ განვადიდებთ
„ქვეყნიერების ბატონს და პატრონს...“
– ვეღარ გავძახებთ დედაკაცებს იმ სიყვარულით:
გაგვიღარიბდა სუფრა, ქალებო...
ის საყრდენი უკვე აფეთქებულია. –
ეს არც სინანულია
და არც ძველის გაფეტიშება,
ეს ბუდიდან გადმოვარდნილი ბარტყის ხმაა,
წყალმივარდნილი მიწის განგაშია,
ფსკერშენგრეული გემის უკანასკნელი ტორტმანია,
...სევდის ჯაგია –
თუ გადავრჩით, ის გადაგვარჩენს,
იმ ჯაგს ვკიდივართ,
ჩვენს ქვემოთ კი უფსკრული ქშინავს.

## გადაიხარა მზე დასავლით

გადაიხარა მზე დასავლით
და მწვანე ველზე დაიყარა შავი ჩრდილები.
ცელს მისდევს კაცი,
ისევ ისე და ისევ ისე –
ბოთლში ჩავარდნილ ბუზივით ბზუის –
რაღაც უკვდავ და გაუგებარ სიმღერას მღერის.
მე აქ ვარ –
ჩემი დედულეთის აღმართ-დაღმართი,
ახლადგამომცხვარ პურის სუნი...
ჭიუხებს იქით
ქათქათებს ცაში გაყინული კავკასიონი.
დიდო კვირიავ,
გარინდულო ცას და ხმელს შუა,
რა უყავ ჩემი სიხარული,
მწვანე საძოვრებს რომ ეფინა თეთრ ფარასავით
და მაღლა-მაღლა მიიწევდა სერებისაკენ...
ვინ გადამტეხა,
ვინ ჩამაგდო ამ ქენჩახებში,
ან ჭანჭრობებში
ვინ ისროლა გული ქვასავით,
რა იქნა
ა, ის ჟრუანტელი,
ის მოკრძალება –
ეჟვნების თოვლში რომ მაგდებდა
შენს კართან ჩავლილს.
რად შემოვდივარ უცხო მგზავრივით
მე ამ სოფელში.
...
გადაიხარა მზე დასავლით...
მე აქ რა მინდა...
გამორბის ღამე და საცაა მომიგდებს ყბებში.

## დიდო პირიმზევ, სიმშვიდე მოგვეც...

ეს იყო წინათ, ბავშვობაში,
პირიმზის კარზე
იდგა ქადაგი, ლურჯად ენთო მისი თვალები.
და იმისი ხმა ყურებიდან აღარ გავიდა.
მისი თვალები თვალებიდან აღარ გავიდა.
დღესაც გულიდან არ გადადის მისი ვედრება –
ლურჯი კივილი,
ლურჯი სვეტი,
ლურჯი ქვითინი:
– დიდო პირიმზევ, სიმშვიდე მოგვეც...
– დიდო პირიმზევ, სიმშვიდე მოგვეც...
– დიდო პირიმზევ, სიმშვიდე მოგვეც...

**მამუკა წიკლაური**

---

◉ არდავიწყება

# სულის უკვდავება

## ჯანსუღ ღვინჯილიას გახსენება



**ამ ზამთრის პირს, ჩემთვის ორმაგის, მეორე ასაკის და სიბერის ჟამს, საკუთარი ბიბლიოთეკის მრავალათასიან წიგნად ფონდს, ლამის საუკუნენაგროვებს, მივუბრუნდი და უნებლიეთ ჯანსუღ ღვინჯილიას თბილწარწერიანს უკვე მერამდენედ ჩავუტკბილდი. „სული ალმაშენებელი“, საქართველოს უდიდესი, ღვთაებრივად კურთხეული მეფეთ მეფე დავით აღმაშენებლის ცხოვრებისა და მეფობის, ქართული სამყაროს გადამრჩენლის ისტორიის, ფილოსოფიურად გააზრებულ, მამულიშვილური სიყვარულით გამსჭვალულ, დიდოსტატი მწერლის ენით შექმნილ სქელტანიან წიგნს ჩავუთბილდი.**

საბედნიეროდ, სამახსოვროწარწერებიანი წიგნი-რელიკვიები მრავლადაა ჩემს საოჯახო ბიბლიოთეკაში, მათ შორის იოსებ ნონეშვილის, დემნა შენგელაიას, მასთან სურათიც მაქვს გადაღებული, დიდი მუხრან მაჭავარიანის, შოთა ნიშნიანიძის, ხუტა ბერულავას, დავით მჭედლურის, ეს ძველ თაობელთა, სხვათა და სხვათა, რომელთა სახელებიც ვარსკვლავებად ანთია საქართველოს ცის კაბადონზე, უფრო მეტიც, ძალიან ბევრის კეთილი მასპინძელიც ვყოფილვარ ახლად აღორძინებულ რუსთავქალაქში.

1977 წელი იდგა. იმხანად საქართველოს მწერალთა კავშირმა ლიტერატურული კონკურსი გამოაცხადა, მეც ბედი ვცადე და ჩემი ერთ-ერთი პირველი მოთხრობა „ნათია“ გავგზავნე, არადა, გამარჯვების არავითარი იმედი არ მქონდა, რადგან კონკურსში ძალიან ბევრი, უკვე აღიარებული მწერალი მონაწილეობდა. მოხდა საოცრება, გავიმარჯვე, თანაც კონკურსის პირობებში ფულად პრემიასთან ერთად მისი წიგნად გამოცემაც შედიოდა.

რადგან ჩემი მოთხრობა მცირე მოცულობისა იყო, იმ კონკურსში გამარჯვებულ სხვა ავტორის ნაწარმოებთან ერთად უნდა დასტამბულიყო.

და აი, აქ მოხდა მოულოდნელი რამ, იმხანად „მერანში“ მუშაობდა ერთი მწერალი ეკა, რომლის სახელი დღეს არც არავის ახსოვს, იგი ჩემი თანაავტორის მეგობარი გამოდგა. იმ ავტორს თავისი მოთხრობის ცალკე წიგნად გამოცემა მოესურვა. ამადაც შემიჩნდნენ, შენი მოთხრობა მცირე მოცულობისაა, ჰოდა, გამოსაცემად არც ღირს, ამიტომ შედი ბატონ ჯანსუღთან და სთხოვე იმ ავტორის წიგნი ცალკე გამოსცენო.

დამიყოლიეს, უარი ვერ ვუთხარი, მოკრძალებით შევედი ბატონ ჯანსუღთან... „შენი მოთხრობა კონკურსშია გამარჯვებული, იგი ღირებული რომ არ ყოფილიყო, არც დაფასდებოდაო,“ ასე გამომისტუმრა მთავარმა რედაქტორმა და მართლაც იმ პირველმა მოთხრობამ ჩემი მოკრძალებული გზა გამიხსნა მწერლობისაკენ.

შემდგომში ბატონი ჯანსუღ ღვინჯილიას არაერთხელ შევხვედრივარ, მეწვია რუსთავში, რაღაც პირადული საქმეების მოგვარებაშიც წავეშველე. ბოლოს, ნიშნად მეგობრობისა თავისი წიგნიც მაჩუქა.

სამწუხაროდ, ეს უკეთილშობილესი კაცი ნაადრევად წავიდა ამსოფლიდან, ის დიდი დანაკლისი იყო ქართული მწერლობისთვის.

ისე, ჯერ არს, მისი მართლაც უკვდავი წიგნი „სული ალმაშენებელი“ რომ ხელახლა გამოიცეს, იგი დიდი დავით ალმაშენებლისადმი მიძღვნილ უამრავ წიგნს შორის ერთ-ერთი გამორჩეულია.

ვამაყობ და ბედნიერი ვარ იმით, რომ შესანიშნავი მამულიშვილისადმი მიძღვნილი მცირე მოგონების გამოქვეყნების საშუალება ჩვენს ასწლიან, ერის მემატიანე-საუნჯე გაზეთ „საქრთველოს რესპუბლიკაში“ მომეცა. ამადაც კიდევ ერთხელ გულწრფელად ვულოცავ მართლაც საუკუნოვან იუბილეს გაზეთსა და მის სარედაქციო კოლექტივს.

**გივი ჯახუა,**

**ილია ჭავჭავაძის, დავით კლდიაშვილის, სერგეი მესხისა და საქართველოს მწერალთა კავშირის პრემიების ლაურეატი.**

# ენვერ ნიჟარაძე

# კაცი და საწუთროება

ამ სიტყვებიდან კარგად ჩანს კოლაუ ნადირაძის პირველობა და დამსახურება ფუნაგორიების მთხზველთა შორის და ამასთან მინიშნებულია ზოგიერთი გასაკიცხ-განსაქიქი პირი. ასეთებია: „კლასიკოს-გამომცემლები“ და სასახლეში (იგულისხმება მწერალთა სასახლე) მომუშავე და მის გარეთ დასაქმებული ან არდასაქმებული მოხელე თუ მწერალი. მათ უკან, რა თქმა უნდა, გარკვეული პირები იდგნენ და ამიტომ ფუნაგორიების თხზვა მეტად საშიში და სახიფათო საქმე გახლდათ.

ფუნაგორიულ გარემოში კოლაუ ნადირაძე, ლადო ასათიანი და სხვა „ფუნაგორისტები“ თავს ისე გრძნობდნენ, როგორც თევზები წყალში, მაგრამ მწვავე წკიპურტებს მათი შემთხზველებისთვის წამიერი სულიერი კმაყოფილების გარდა, ცოტა სიკეთე თუ მოჰქონდათ.

მართალია, ფუნაგორიები არ იბეჭდებოდა და მხოლოდ ზეპირად ვრცელდებოდა, მაგრამ ეს შეიძლება, უარესიც იყო, რადგან არავინ უწყოდა, როგორი ჟღერით წარმოთქვამდა მათ მავანი. შეიძლება, შედარებით უწყინარი ფუნაგორიაც კი ისე წაეკითხა ერთ დაპრიანებულ პირს მეორისთვის, რომ მისი შემთხზველი სამუდამოდ შეეძულებინა. გარდა ამისა, არც თვითონ კოლაუ, ლადო და სხვა „ფუნაგორისტები“ იყვნენ უცოდველნი და როგორმე მათ გაკიცხვა-განქიქებასაც მოახერხებდნენ უკვე გაკიცხულ-განქიქებულნი.

სხვათა შორის, ფუნაგორიების გამო მწერლები ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლოდაც დაპირისპირებულან. ცნობილია რამდენიმე ასეთი სამწუხარო ამბავი, მაგრამ ეს ჩვენი განხილვის საგანს არ წარმოადგენს.

მიუხედავად ამისა, „ფუნაგორისტებს“ ფუნაგორიების თხზვა მაინც არ შეუწყვეტიათ...

ყოველივე ამით მე მხოლოდ ხაზი მინდა გავუსვა, რომ კოლაუ ნადირაძე უშიშარი ბუნების კაცი იყო და ბოლომდე უშიშარი და უტეხი დარჩა.

სიტყვა გატეხვას მასთან არაფერი ესაქმებოდა, თუ არ ჩავთვლით, რომ ბავშვობაში ცხვირი ჰქონდა გატეხილი. **„შვიდი წლისა ვიყავი, როცა ჩოხატაურის საავადმყოფოს ეზოში ცხვირი გავიტეხე და სახე დამიმახინჯდა“** — გაგვენდობა მგოსანი თავის თვითგანვლილობაში.

ცხადია, ცისფერყანწელთა საძმოს სისხლიანი დარბევით სამუდამოდ გულმოკლულ მგოსანს ბოლომდე არავინ ენდობოდა, იმისდა მიუხედავად, გამოხატავდა ღიად ის უკმაყოფილებას თუ არ გამოხატავდა. მაგრამ სტალინის სიკვდილის შემდეგ, როდესაც დასჯილ მწერალთა აღდგენა-გამართლება დაიწყო, კოლაუ ნადირაძე მაინც აშკარად აღუდგენელი დარჩა. ამაში, ჩემი შეტყობით, მასზე განაწყენებულ ზოგიერთ მწერალსაც უნდა მიუძღოდეს ნაწილობრივი ბრალი, თორემ თუ კი ადრე „ცისფერი ყანწების““, „მეოცნებე ნიამორების“, „მშვილდოსნის“ და „პოეზიის დღის“ გამოცემაში მონაწილეობდა, ორმოცდაათიანი წლების ბოლოდან როგორმე ერთი რომელიმე ათვლითი გამოცემის ან გამომცემლობის გაძღოლასაც მოახერხებდა. მით უფრო, რომ არც ცოდნა-განათლებით და არც გაძღოლის უნარით ის მხატვრული მწერლობის ბეჭდვისა და გამოცემის საქმეში დაწინაურებულ, ხელისუფლებისგან უფლებამინიჭებულ, არცერთ თანამოსაქმეს არ ჩამოუვარდებოდა.

მაშ, მეშვიდე კლასიდან მეამბოხე გამოსვლისთვის „მგლის ბილეთით“ გარიცხულმა კოლაუ ნადირაძემ, როგორც გარეშე პირმა, ჩააბარა გამოსაშვები გამოცდები ქუთაისის კაზმულ გიმნაზიაში, სადაც მანამდე ტიციან ტაბიძესთან ერთად სწავლობდა. ამის შემდეგ მოსკოვში გაემგზავრა და იქაურ ნაირსასიბრძნოში სამართალმცოდნეობის განყოფილებაზე მოეწყო. იმავე წლებში, იმავე მოსკოვის ნაირსასიბრძნოს ენისა და მწერლობის განყოფილებაზე სწავლობდა ტიციან ტაბიძეც.

ნეტავ თუ დატოვა რომელიმემ მოსკოვში ერთად ყოფნის ხანა აღწერილი? ღმერთმანი, კარგი კი იქნებოდა!

მგოსნის „ერთტომეულზე“ დართული თვითგანვლილობა გვაუწყებს, რომ უმაღლეს სასწავლებელში მას სახელმწიფო გამოცდა არ ჩაუბარებია, რადგან, მამის ავადმყოფობის გამო, რასაც ამ უკანასკნელის გარდაცვალება მოჰყოლია, სამშობლოში დაბრუნებულა.

სრულყოფილად ფლობდა რუსულ ენას. იმდენად კარგად, რომ, როგორც გადმოცემით ვიცი, აკეთებდა შეუდარებელ პწკარედებს ქართველ მგოსანთა ლექსებისა და ამით, ერთი ხანობა, თავსაც ირჩენდა. სამაგალითოდ იყო მიჩნეული მის მიერ ნიკოლოზ ზაბოლოცკისთვის მომზადებული ვაჟა-ფშაველას პოემების პწკარედები.

ქართულის გარდა, ჩვენ ვსაუბრობდით რუსულ და ფრანგულ მგოსნებაზე. განსაკუთრებით ბევრს ამ უკანასკნელზე. პირველ ხანებში მე მას უფრო კითხვებს ვუსვამდი, ის კი პასუხებს მაძლევდა. შემდეგ და შემდეგ უკვე მეც თამამად გამოვთქვამდი ჩემს, ზოგჯერ მისგან განსხვავებულ, შეხედულებებს.



სხედან მარცხნიდან: კოლაუ ნადირაძე, ანდრეი ბელის მეუღლე, თამარ იაშვილი, ნინო ტაბიძე, ნიკოლო მიწიშვილი; დგანან: ტიციან ტაბიძე, ანდრეი ბელი, პაოლო იაშვილი, გრიგოლ რობაქიძე, სანდრო შანშიაშვილი

მიუხედავად იმისა, რომ ვაფასებდი, მე მისი გავლენის ქვეშ არ ვყოფილვარ მოქცეული.

ბოდლერი, ჰერედია, გოტიე, თეოდორ ბანვილი, გუსტავ კანი, ვერლენი, რემბო, მალარმე, ლაფორგი, ლოტრეამონი ხშირად ყოფილან ჩვენი საუბრების საგანი. ფრანგულ სიმბოლიზმს რომ კარგად იცნობდნენ ცისფერყანწელები, ეს არავისთვის საიდუმლო არაა. ჯერ კიდევ ქუთაისში მოღვაწეობისას მათ ფრანგულიდან ქართულად გადმოიღეს და წიგნად გამოსცეს სტეფან მალარმეს ლექსები. ეს წიგნი გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების ბოლოს განმეორებით დაბეჭდა ქუთაისში მგოსანმა და გამომცემელმა ზურაბ კუხიანიძემ.

ჩვენი საუბრების დროს მგოსანს არაერთხელ წარმოუთქვამს ფრანგულ ენაზე ვერლენის, მალარმეს, რემბოს ესა თუ ის პწკარი. სწორედ ამას ეფუძნება ჩემი ვარაუდი, რომ ის სასწავლებლის მერხიდანვე საკმაოდ კარგად ფლობდა ფრანგულ ენას. უთუოდ ესეც განაპირობებდა თავის დროზე უმაღლესი განათლების მისაღებად საფრანგეთისკენ მის სწრაფვას, რაც მიზეზთა მნიშვნელოვანთა და მოვლენათა საბედისწეროთა გამო, საბოლოოდ განუხორციელებელი დარჩა.

სამწუხარო, და დიდადაც სამწუხარო, ჩემთვის ის არის, რომ საუბრები ვერ ჩავიწერე. არა იმიტომ, რომ ახალგაზრდული სიზარმაცე ან დაუდევრობა გამოვიჩინე, არამედ იმიტომ, რომ მათში ხშირად ორი სხვა მწერალიც მონაწილეობდა, რაზეც ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ! გარდა ამისა, მე რომ რამის ჩაწერა დამეწყო, არ იყო გამორიცხული, რომ მგოსანს რაღაც ეჭვი გასჩენოდა და საერთოდ შეეწყვიტა ლაპარაკი.

იმ ხანებში უმაღლესი სასწავლებლის დამამთავრებელი ნაშრომი ახალი დაწერილი მქონდა და ის გალაკტიონ ტაბიძის მწერლობით შეხედულებებს ეძღვნებოდა. ამიტომ ბევრი მუშაობა მომიხდა ფრანგულ სიმბოლიზმზე და ამ რჩეულ მგოსნურ მიმდინარეობას, რომელსაც ადრეც კარგად ვიცნობდი, კიდევ უფრო კარგად გავეცანი.

გალაკტიონ ტაბიძის შესახებ მე მისთვის არასდროს არაფერი მიკითხავს. პირიქით, მწერალთა სასახლის ეზოში, უფრო ადრე, მისაყვედურია კიდეც ზოგიერთი აბეზარი მწერლისთვის, რომელიც, იცოდა რა გალაკტიონისადმი მგოსნის თავისებური დამოკიდებულების ამბავი, საგანგებოდ ცდილობდა მის გაღიზიანებას და სასაუბროდ გამოწვევას.

ხოლო, თუ მოხუცი მგოსანი გაღიზიანდებოდა, ვეღარ შეაჩერებდი...

მწერალთა სასახლის ეზოში კოლაუ ნადირაძეს ხშირად ეხვივნენ გარს სხვადასხვა თაობის მწერლები, გამონაკლისის გარეშე, უთანამდებონი, და მგოსანიც გუნებიერად მსჯელობდა ამა თუ იმ საკითხზე. ზოგჯერ მისთვის მეც დამისვამს კითხვები, მაგრამ უფრო საერთო საუბრიდან გამომდინარე, ვიდრე ჩემი მწერლობითი პრიანებიდან. მართალია, ის უკვე მიცნობდა, მაგრამ მაშინ ახალგაზრდა მწერალთა ერთ-ერთ წარმომადგენლად მიმიჩნევდა და სხვათაგან მგონი არც განმასხვავებდა.

საერთოდ მგოსანს ყველაფერზე, მით უფრო მგოსნებაზე, თავისი გამოკვეთილი შეხედულება ჰქონდა და, როგორც საზოგადოდ მწერალთა უმეტესობა, მის გადასინჯვა-გადამოწმებას ვერ ეგუებოდა. ზრდილობიანად მოგისმენდა, მაგრამ აშკარა იყო, რომ მაინც თავის აზრზე რჩებოდა. სულ ერთი იყო, ვის ეხებოდა საუბარი, რუსთაველს, გურამიშვილს, ბარათაშვილს, ვაჟა-ფშაველას, ფრანსუა ვიონს, შარლ ორლეანელს, ალექსანდრე პუშკინს, თევდორე ტუტჩევს, ვლადიმერ მაიაკოვსკის თუ ბორის პასტერნაკს.

ჩემი უმაღლესი სასწავლებლის დამამთავრებელი ნაშრომი „გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატურული შეხედულებები“, სათაურით „პოეტის ლიტერატურული შეხედულებები“, მალე ალმანახ „კრიტიკაში“ გამოქვეყნდა. რასაკვირველია, კოლაუ ნადირაძე, ვინც გაზეთის ნაგლეჯსაც არ დატოვებდა წაუკითხავს, მას იცნობდა, მაგრამ ჩემთვის ეს არ უგრძნობინებია.

მის ცივ დამოკიდებულებას გალაკტიონისადმი უთუოდ უფრო ძველი საფუძველი ჰქონდა და მთლიანად ცისფერყანწელთა მგოსნურ მიმდინარეობასთან იყო დაკავშირებული. თავდაპირველად გალაკტიონს და ცისფერყანწელებს არაჩვეულებრივი ურთიერთობა ჰქონდათ. „ცისფერი ყანწების“ პირველ რვეულში გალაკტიონ ტაბიძის ორი საგამგეზო ლექსი „ლურჯა ცხენები“ და „მთაწმინდის მთვარე“ დაიბეჭდა, რაც თავისთავადაც დიდი მოვლენა იყო მაშინდელ მწერლობით ცხოვრებაში. კოლაუ ნადირაძე თავის თვითგანვლილობაში იხსენებს, რომ მისი პირველი ლექსი „ავზნიანი ქალაქი“ „ცისფერი ყანწების“ მეორე რვეულში დაიბეჭდა. ახალდაარსებულ კრებულში „არაყანწელის“ (ასეა გალაკტიონი ამავე თვითგანვლილობაში მოხსენიებული) ლექსების გამოქვეყნება, ცისფერყანწელთაგან მის უყოყმანო აღიარებას ნიშნავდა. ამას უთუოდ ხელს უწყობდა ისიც, რომ ტიციან ტაბიძე გალაკტიონის ბიძაშვილი იყო და ჯერ კიდევ 1914 წელს გამოცემულ მის პირველ მგოსნურ კრებულზე შესანიშნავი წერილი „მარტოობის ორდენის კავალერი“ ჰქონდა დაწერილი და გამოქვეყნებული. გალაკტიონისა და ტიციანის ნათესაური სიახლოვის გავლენა უნდა ჩანდეს ერთ ძველ ამბავშიც. როდესაც იმ ხანებში ქუთაისის თეატრში გამართულ მგოსნების საღამოზე გალაკტიონის „მერი“ გაასანახაობრივეს, დადგმა თუ არა, ჩანაფიქრი მაინც პაოლო იაშვილისა უნდა ყოფილიყო, რადგან მთავარ მოქმედ პირს, მგოსანს, პაოლო განასახიერებდა და, შესაბამისად, რჩეულ ლექსსაც, დამწერის ნაცვლად, პაოლო კითხულობდა. გალაკტიონმა, როგორც ჩანს, წარმოდგენაში მონაწილეობა ვერ გაბედა, მაგრამ მსურველთ დადგმის ნება სიამოვნებით დართო.

მაგრამ უშფოთველი, უნისლო გარემო მალე ლეგად მოიღრუბლა და ელჭექით დაიმუხტა. დაიჭექა კიდეც, როგორც ჩანს, რასაც სულ უფრო და უფრო ურთიერთდამაშორებელი განხეთქილება მოჰყვა. რა იყო ამისი ზუსტი მიზეზი, არ ჩანს, მაგრამ უდავოა, რომ მათ შორის შავმა კატამ გაირბინა. ასე იყო თუ ისე, ცისფერყანწელებმა (ტიციანს ეს ყველაზე ნაკლებად ეხება) აითვალწუნეს გალაკტიონი და, საფიქრებელია, რომ აღარც გალაკტიონს ეხატებოდნენ ისინი გულზე...

ეს ყოველი ძირითადად ვარაუდია. მისი სათანადო მტკიცებებით შემაგრებაც სავსებით შესაძლებელია, მაგრამ ამ შემთხვევაში თხზულების გამჭოლი ძაფი გაგვიწყდებოდა.

მთავარი და უმნიშვნელოვანესი, რაც ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, მაინც ის არის, რომ მთელი ამ ნაჩხუბრობ-დამდურებულობის მიღმა, გულის სიღრმეში, მათ კარგად იცოდნენ ერთმანეთის ფასი.

თანდათან, ხელისუფალთაგან ცისფერყანწელების მსოფლმხედველობრივი დადაღვის კვალად, მათი და გალაკტიონის ურთიერთობა უკიდურესად გამძაფრდა. ხოლო პაოლოსა და ტიციანის დაღუპვის შემდეგ საერთოდ გაწყდა. მალე ვალერიან გაფრინდაშვილიც გარდაიცვალა და ცისფერყანწელთა განადგურებული, უარყოფილი და მოძულებული საძმოს მთავარ, პირობით მცველად კოლაუ ნადირაძე დარჩა.

ვიღას ან რაღას უნდა შეერიგებინა შემდგომში, იმ უნდო და ფეთქებად გარემოში, ისინი ერთმანეთთან?

აღარავის და აღარაფერს!

**(გაგრძელება იქნება)**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №11, 16

# კრიზისის დასაძლევად საერთო ენა უნდა გამოინახოს...

**დედოფალმა ელიზაბეტ II-მ ბრიტანელებს მოუწოდა, მოძებნონ საერთო ინტერესები და საკითხები ფართო ჭრილში განიხილონ. როგორც ბრიტანელი ანალიტიკოსები და მედიის წარმომადგენლები ამბობენ, დედოფალმა ფარული მინიშნება გაუგზავნა პოლიტიკოსებს ბრექსიტის კრიზისის დასაძლევად, რომელმაც „შოკში ჩააგდო“ ინვესტორები და მოკავშირე სახელმწიფოები. ინფორმაციას Reuters-ი ავრცელებს.**

როგორც ცნობილია, დიდი ბრიტანეთის მთავრობა ბოლო 50 წლის განმავლობაში ყველაზე დიდ კრიზისში იმყოფება ბრექსიტის საკითხზე ტოტალური შეუთანხმებლობის გამო. ქვეყანამ, რომელმაც 2019 წლის 29 მარტს უნდა დატოვოს ევროკავშირი, ჯერ კიდევ არ აქვს გეგმა, როგორ უნდა გამოვიდეს გაერთიანებიდან, რომელსაც 1973 წელს შეუერთდა. დედოფალი, ნორფოლკში, ქალთა ინსტიტუტში სიტყვით გამოსვლისას ბრექსიტის კრიზისის პირდაპირ ხსენებას მოერიდა, თუმცა განაცხადა, რომ „ყველანი ვდგავართ ახალი გამოწვევებისა და შესაძლებლობების წინაშე“.



**„თანამედროვე ეპოქაში ჩვენ ვეძებთ პასუხებს კითხვებზე, თუმცა, მე ერთ ხერხს ვანიჭებ უპირატესობას, ვიხელმძღვანელო მაგალითებით. გავერთიანდეთ საერთო ინტერესების ირგვლივ და არასდროს დავკარგოთ უნარი განვიხილოთ საკითხები ფართო ჭრილში“,** — განაცხადა დედოფალმა.

ბრიტანეთში მიიჩნევენ, რომ დედოფალმა აღნიშნული სიტყვებით ქვეყნის პოლიტიკურ ელიტას ფარული მინიშნება გაუკეთა, თუმცა ყველა მხარე მის სიტყვებს სხვადასხვანაირად აღიქვამს, მაგალითად, Times-მა შემდეგნაირად დაასათაურა დედოფლის გამოსვლა — „დაასრულეთ ბრექსიტზე დაპირისპირება, დედოფალი პოლიტიკოსებს აფრთხილებს“. BBC-ის თქმით, კი ეჭვგარეშეა, რომ დედოფალმა ნამდვილად გააგზავნა პოლიტიკოსებისადმი ფარული მინიშნებები. როგორც სახელმწიფოს მეთაური, დედოფალი რჩება პოლიტიკური საკითხებისადმი ნეიტრალური, თუმცა აღსანიშნავია, რომ 2014 წელს, შოტლანდიის რეფერენდუმის დროს, მან განაცხადა, რომ „შოტლანდიელები სიფრთხილით უნდა მოეკიდონ საკუთარ მომავალს“.

# სახელმწიფო სიმბოლოების შეურაცხყოფა ისჯება

**რუსეთის დუმამ პირველი მოსმენით მიიღო კანონპროექტთა პაკეტი, რომელიც ინტერნეტში რუსეთის სახელმწიფოს, საზოგადოებისა და სახელმწიფო სიმბოლოების შეურაცხმყოფელი სტატიისა თუ ფრაზების გამო პასუხისმგებლობის დაწესებას ითვალისწინებს.**

აღნიშნული დარღვევისათვის გათვალისწინებულია 1000-დან 5000-მდე რუბლის ჯარიმა ან 15-დღიანი პატიმრობა.

კიდევ ერთი პროექტი ითვალისწინებს პროკურატურისადმი ამა თუ იმ ინტერნეტსაიტისა და სოცქსელის დაბლოკვის უფლების მინიჭებას.




# თეთრ სახლში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისთვის ემზადებიან

**თეთრი სახლი ამზადებს დოკუმენტს ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ. აღნიშნულ დოკუმენტში გათვალისწინებულია საზღვარზე კედლის მშენებლობისთვის საგანგებო ფონდებიდან 7 მლრდ დოლარის აკუმულირება. ინფორმაციას საკუთარ წყაროზე დაყრდნობით CNN ავრცელებს.**

წყაროს ინფორმაციით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, პრეზიდენტის მრჩევლების მოსაზრებები ორად იყოფა. თუმცა თეთრ სახლში აგრძელებენ მუშაობას ალტერნატიული გეგმების დასამუშავებლად.

**„აშშ-ში ყოველდღიურად უკანონოდ შემოსული მიგრანტების მასშტაბური რაოდენობა პირდაპირ საფრთხეს უქმნის ქვეყნის უსაფრთხოებას და სწორედ ეს არის საფუძველი ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისა. შესაბამისად, მე, დონალდ ტრამპი, ამერიკის კონსტიტუციითა და კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ქვეყნის სამხრეთ საზღვართან ვაცხადებ საგანგებო მდგომარეობას“,** — აღნიშნულია დოკუმენტში. შეგახსენებთ, რომ აშშ-ის სენატში ჩავარდა დონალდ ტრამპის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი, რომელიც საზღვარზე კედლის აშენებისთვის საჭირო ფინანსურ დანახარჯებს შეიცავდა.



# უპოლიციო ქვეყანა, სადაც ციხეების არ არის

## ტომი, რომელმაც ონკოლოგიური დაავადება არ იცის

**გასული საუკუნის 70-იან წლებში მსოფლიომ შეიტყო, რომ ინდოეთის ჩრდილოეთში, მდინარე ხუნზის ნაპირებზე ბინადრობს ხუნზაკუტების ტომი, რომლის წევრები 120-160 წლამდე ცოცხლობენ და არანაირი ავადმყოფობა და ეპიდემიები არ იციან.**

ერთ-ერთი ლეგენდით, მთის პატარა სახელმწიფო ალექსანდრე მაკედონელის მეომართა ჯგუფმა იმპერატორის ინდოეთში ლაშქრობისას დააარსა. მათ იქ ისეთი მკაცრი სამხედრო დისციპლინა დააწესეს, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებს მახვილისა და ფარის ხელიდან გაშვება არა თუ დღე, ღამეც კი არ შეეძლოთ, რაც მათ არაჩვეულებრივ გამძლეობაზე მეტყველებდა.

1976 წელს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ ხუნზაკუტების ფენომენის შესასწავლად მედიკოსთა ექსპედიცია გაგზავნა. ექიმებმა დაადგინეს, რომ ხუნზაკუტების გარდა ამ ულამაზეს ქვეყანაში, იგივე კლიმატურ პირობებში მცხოვრები ადამიანები დანარჩენი კაცობრიობისთვის ჩვეული ყველა სნეულებით ავადდებიან და არც დღეგრძელობით გამოირჩევიან. ევროპელმა ექიმებმა იქაური საავადმყოფოც მოინახულეს და აღმოჩნდა, რომ ხუნზაკუტები მას მხოლოდ პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის და ტრავმების სამკურნალოდ მიმართავენ. მათ არ იციან, რა არის გაციება, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, ინფექციები და სხვ. ხუნზაკუტებში საკმაოდ ბევრია ხანდაზმული, მათ შორის, 100 წელს კარგა ხნით გადაცილებული ადამიანებიც, ტომის რიცხოვნობა კი დაახლოებით 50 ათასს აღწევს.

ხუნზუკუტები ძალზე დიდი ფიზიკური გამძლეობის ხალხია, მამაკაცებს თავისუფლად შეუძლიათ 100 კილომეტრის სიშორეზე წასვლა-წამოსვლა, უკან მობრუნებულები კი მინდორში მუშაობენ. ქალები ბევრ დროს ატარებენ ყანაში და შემდეგ კი ოჯახში დაუღალავად საქმიანობენ. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი ისაა, რომ ხუნზაში ჭარბი წონის კაცს ვერ ნახავთ. 15-გრადუსიან ყინვაშიც კი ცივ წყალში ბანაობენ. მათი 50 წლის ქალები ახალგაზრდულად გამოიყურებიან, 65 წლისანი კი შვილებს აჩენენ.





**ამ მხარეში მრავალი წლის მანძილზე არც ერთი დანაშაული არ არის რეგისტრირებული, არ ხდება მკვლელობა, გაუპატიურება, ბავშვების გატაცება და სხვა დანაშაულები, ამიტომ არც პოლიცია ჰყავთ და არც ციხეები აქვთ.** მიუხედავად ამისა, ხუნზას მცხოვრებლებს მაინც აქვთ ტიპური ადამიანური პრობლემები — მიწის საკითხები და ყოფითი დავები... ყველა პრობლემას შეუვალი ავტორიტეტის მქონე უხუცესები წყვეტენ.

გასაოცარია ხუნზაკუტების დღეგრძელობა. მაგალითად, **საიდ აბდულ მობუდი** 160 წლისაა და ჯანმრთელობასაც არ უჩივის. **საუკუნეთა მანძილზე ისინი ერთმანეთზე ქორწინდებიან და ამის მიუხედავად, მათ გადაშენების პირი არ უჩანთ. ეს კი, მეცნიერთა აზრით, იმას ნიშნავს, რომ არსებობს რაღაც გარეშე პირობები, რომლებიც მათ ჯანმრთელობის შენარჩუნებას უწყობს ხელს.**

სააგენტო „ფრანს პრესის“ ცნობით, ფართო გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ **მთელ მსოფლიოში არანაირი ონკოლოგიური დაავადებები მხოლოდ ხუნზაკუტების ტომში არ გვხვდება(!)** ამ უნიკალური მოვლენის მიზეზის დასადგენად დოქტორმა **რობერტ მაკკარისონმა** ექსპერიმენტი ჩაატარა, რომლის შედეგად დადგინდა, რომ **ხუნზაკუტების ხანგრძლივი სიცოცხლის საიდუმლო მათ კვებასა და ცხოვრების წესშია**. ამ დასკვნას თანამედროვე გამოკვლევებიც ადასტურებენ. ამჟამად მეტად პერსპექტიულად ითვლება ვიტამინი B17 **(მას კიდევ ამიგდალინსა და ლაეტრალს უწოდებენ — ო.ტ.),** რომელიც კიბოს უჯრედების წარმოშობის შესაძლებლობას სპობს. ამ ვიტამინს ძირითადად შეიცავს ნუში, აგრეთვე ატმისა და გარგარის კურკები, მაგრამ იმის გამო, რომ ისინი ასევე მომწამლავ ციანიდებსაც შეიცავენ, მათი მიღება მცირე დოზებითაა რეკომენდებული. არადა, ხუნზაკუტები (სხვათა შორის ისევე, როგორც კავკასიელი ავარელები, დიდი ოდენობით მიირთმევენ გარგარსაც და მისი კურკის გულებსაც). თანაც, ნაყოფს არ ამუშავებენ, მხოლოდ მზეზე აშრობენ. ხუნზას რაიონში კი იზრდება დაღესტნურის მსგავსი გარგარის ჯიში.

საქვეყნოდ ცნობილია ჰიპოკრატეს გამოთქმა, რომ **„საკვები თქვენს წამლად უნდა იქცეს, წამლად კი — თქვენი საკვები“**. იაპონიის სახელმწიფო კანცეროგენული (კიბოს) ცენტრის პროფესორის აზრით კი, ყოველდღიურ რაციონში მწვანე-ყვითელი ბოსტნეულის **(დღეღამეში დაახლოებით 500 გრამი — ო.ტ.)** მოხმარება კიბოთი დაავადების ალბათობას ორჯერ ამცირებს. ესენია, კერძოდ, ბრიუსელისა და სატაცურას (ბროკოლი), ქოჩორა (ფოთლოვანი) და საფურაჟე კომბოსტოები, აგრეთვე კოლრაბი და მდოგვი. ასეთივე ეფექტი აღინიშნება ფორთოხლის, მანდარინისა და კაროტინის მაღალი შემცველობის მქონე სხვა ციტრუსოვანთა წვენების მოხმარებისას. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, 35 წლის ასაკისთვის ადამიანთა ორგანიზმი უკვე საკმაოდ გაჯერებულია წიდებით, რომელთაგან მისი გაწმენდა აუცილებელია, სანამ სისხლძარღვები ძალზე არ გაბიდნულა. ადამიანს ხშირად სახსრები იმის გამო აწუხებს, რომ მოსაწესრიგებელი აქვს კუჭ-ნაწლავთა სისტემა.

ამდენად, ჩვენი სიცოცხლის ხანგრძლივობა დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რას და როგორ ვჭამთ.

**ოთარ ტურაბელიძე**

სკანდალი

# უცნობი დეტალები

ევროპის ჩემპიონ ზურაბ დათუნაშვილის თქმით, მას შემდეგ, რაც ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტთან კონფლიქტი მოუვიდა და მასზე განხორციელებული ძალადობის გამო გეგა გეგეშიძე დააკავეს, ჭიდაობის ფედერაციის სახელით მღვდელი მიუგზავნეს.

**„მამაო მომიგზავნეს, რომელმაც მითხრა, ზურა, ყველანაირად პრივილეგირებული იქნებიო. მე ვუთხარი, რომ ზუსტად ამ პრივილეგიებზე მაქვს პრობლემა, რომ არ უნდა იყოს ფედერაციაში ეს პრივილეგიები. ყველაფერი ისე იქნება, როგორც შენ გინდაო. ვუთხარი რატომ უნდა იყოს ასე, უნდა იყოს სამართლიანად-მეთქი“,** — განაცხადა დათუნაშვილმა და დასძინა, რომ ეს ის სასულიერო პირი იყო, რომელიც სპორტის სასახლეში მომხდარ ინციდენტსაც შეესწრო.

მისი თქმით, ის მოვლენების განვითარებას დაელოდება და გარკვეული პერიოდის შემდეგ გამოჩნდებიან ის ადამიანებიც, რომლებიც მას მხარს უჭერენ და ჭიდაობის ფედერაციაში არსებულ პრობლემებს გააპროტესტებენ.

* * *

**ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტ გეგა გეგეშიძის გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლების ფაქტს ევროპის ორგზის ჩემპიონი ზურაბ დათუნაშვილი გამოეხმაურა, რომელიც ფედერაციის პრეზიდენტს ფიზიკურ ძალადობაში ადანაშაულებდა.** ზურაბ დათუნაშვილის თქმით, იმ შემთხვევაში, თუ გეგეშიძე თანამდებობას არ დატოვებს, მაშინ თავად დატოვებს საქართველოს ნაკრებს.

**„მისი დაჭერა არავის სურვილი არ ყოფილა, უბრალოდ, მოსამართლეს შეეძლო, რომ ის თანამდებობაც დაეტოვებინა, რაც უბრალოდ დროის საკითხია. მე ვიცი, რომ დატოვებს თანამდებობას და მაქვს იმის განცდა, რომ სიმართლე იზეიმებს.“** — განაცხადა დათუნაშვილმა.



ევროპის ორგზის ჩემპიონი გეგა გეგეშიძესთან თანამშრომლობას კატეგორიულად გამორიცხავს, ფედერაციის პრეზიდენტის განცხადებას კი იმასთან დაკავშირებით, რომ მისი წასვლა ჩამოაქცევს როგორც ფედერაციას, ასევე ქვეყანას, დათუნაშვილი არარეალურს უწოდებს: **„თანამშრომლობა გამორიცხულია — პრობლემა არის ის ყველაფერი, რაც აქამდე იყო: არასწორი, ძალადობრივი მმართველობა, იმ ადამიანების სპორტული კუთხით დაბლოკვა, ვინც თვალში არ მოსდის. რაც შეეხება მის განცხადებას, რომ მისი წასვლით ქვეყანა დაინგრევა, მე მგონი, ის სხვა რეალობაში ცხოვრობს.“** — აღნიშნა დათუნაშვილმა.

თუ გეგეშიძე ფედერაციაში დარჩება, დათუნაშვილი ეროვნული ნაკრების დატოვებას აპირებს: **„მე ვაგრძელებ ვარჯიშს ჩემს პირად მწვრთნელთან და ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. თუ დარჩა, მაშინ მე ნაკრებს დავტოვებ“,** — განაცხადა დათუნაშვილმა.

ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი გეგა გეგეშიძე სპორტის სასახლეში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით 22 იანვარს დააკავეს და ბრალი ძალადობის მუხლით წაუყენეს. გეგა გეგეშიძეს მოსამართლემ 5000-ლარიანი გირაო შეუფარდა. ბრალდების მხარის მოთხოვნა, რომ ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი თანამდებობიდან ჩამოეშორებინათ, სასამართლომ არ დააკმაყოფილა და ის ისევ ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტია.

**კობა კობახიძე**

ჩოგბურთი

# გორგოძე - ნახევარფინალში



**ქართველი ჩოგბურთელი ეკატერინე გორგოძე ავსტრალიურ ბარნიში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 60 ათასი დოლარი) ნახევარფინალში გავიდა და დღეს დილით ფინალის საგზურისთვის იბრძოლებს.**

გუშინ გორგოძემ ძალები ესპანელ სილვია სოლერ-ესპინოსასთან მოსინჯა და 6:4, 5:7, 6:1 იმარჯვა. ნახევარფინალში ჩვენებურის მეტოქე ავსტრალიელი ბელინდა ვულკოკი იქნება და შეიძლება ითქვას, რომ ჩვენებური აშკარა ფავორიტია.

საქმე ის გახლავთ, რომ 24 წლის მასპინძელს, რომელმაც ასპარეზობა კვალიფიკაციიდან დაიწყო, მსოფლიო რეიტინგში მხოლოდ 774-ე ადგილი უკავია, ეკა კი 164-ეა.

ვთქვათ ისიც, რომ მე-2 ნახევარფინალში ერთმანეთს ესპანელები სორიბეს ტორმო (პირველი განთესვა) და ბადოსა გიბერტი (მე-6) დაუპირისპირდებიან.

**მანუჩარ გიორგაძე**

კალათბურთი

# ევროპაში გვენდობიან

**ფიბა-მ და ვი-თი-ბი ლიგის ხელმძღვანელობამ იმ მსაჯთა და კომისართა სია შეადგინა, რომლებიც მათი ორგანიზებით გამართულ მატჩებს მოემსახურებიან. იანვრის მეორე ნახევრისა და თებერვლის დასაწყისის დანიშვნებში არბიტრი მაკა კუპატაძე და კომისარი მერაბ რატიშვილი ფიგურირებენ:**

**მაკა კუპატაძე** (მსაჯი).

**ქალთა ევროლიგა. 13 თებერვალი.** კურსკი (რუსეთი): „დინამო კურსკი“ (რუსეთი) — „პერფიუმერიას ავენიდა“ (სალამანკა, ესპანეთი).

**მერაბ რატიშვილი** (კომისარი).

**ვი-თი-ბი ლიგა. 26 იანვარი. ზელენა გურა (პოლონეთი):** „ზელენა გურა“ (პოლონეთი) — „ენისეი“ (კრასნოიარსკი, რუსეთი).

**ქალთა ევროლიგა. 6 თებერვალი. ეკატერინბურგი (რუსეთი):** „უგმკ ეკატერინბურგი“ (რუსეთი) — „ტანგო ბურჟ ბასკეტი“ (ბურჟი, საფრანგეთი).

**ვიტალი ჯაფარიძე**



სუმო

# წოდება შეინარჩუნა

**გაგამარუს შიკონათი ცნობილმა ქართველმა სუმოისტმა თეიმურაზ ჯუღელმა 2019 წლის პირველ სუპერტურნირზე დადებითი ბალანსი (კაჩიკოში) დააფიქსირა, რისი წყალობითაც სეკიტორის წოდების შენარჩუნება მოახერხა.**

შეგახსენებთ, რომ გაგამარუ ჰაცუ ბაშოს რანგით მე-2 დივიზიონ ჯურიოში აღმოსავლეთის მე-14 ნომრის წოდებით შეხვდა და წარუმატებელი ასპარეზობის შემთხვევაში მე-3 დივიზიონ მაკუშიტაში დაბრუნება არ ასცდებოდა.

საბედნიეროდ, გაგამარუმ მიზნის მიღწევა მოახერხა და შეჯიბრის მე-13 დღეს მე-8 გამარჯვება იზეიმა. გუშინ ქართველი გოლიათის მეტოქე აღმოსავლეთის მე-7 ნომერი აძუმარიუ იყო, რომელთანაც ჩვენებურს უარყოფითი ბალანსი (4:7) ჰქონდა, თუმცა, ამჯერად მისი ოშიდაშით ძლევა შეძლო.

დღეს ქართველი სუმოისტის მეტოქე ჩიომარუ იქნება, რომელთან ურთიერთშეხვედრებშიც ჩვენებური 3:5 მარცხდება.

ამასობაში ძალიან გამწვავდა ბრძოლა იმპერატორის თასისთვის. ჰაცუ ბაშოს ფინიშისკენ მოულოდნელ ლიდერად მონღოლი ვეტერანი ტამავაში მოგვევლინა. 34 წლის სეკივაკემ გუშინ მე-2 მაეგაშირა



ჰოკუტოფუჯი დაამარცხა და მე-11 გამარჯვება გაიფორმა.

შედეგად, ტამავაშიმ უკან ჩამოიტოვა მისივე თანამემამულე, ლეგენდარული იოკოძუნა ჰაკუჰო, რომელმაც მიჯრით 10 გამარჯვების მერე ზედიზედ 3-ჯერ წაიფორხილა. გუშინ დიდ ჩემპიონს სეკივაკე ტაკაკეიშომ აჯობა და „თეთრ ფენიქსს“ გაუთანაბრდა.

**ბეჟან დოლიძე**

# საფეხბურთო მოზაიკა




**გაიმართა 2019 წლის კოპა ამერიკის წილისყრა. შეგახსენებთ, რომ რიგით 46-ე გათამაშებას 14 ივნისიდან 7 ივლისამდე ბრაზილია უმასპინძლებს. ჩემპიონის ტიტულს ზედიზედ მეორედ დაიცავს ჩილეს ეროვნული გუნდი, რომელმაც ბოლო ფინალებში არგენტინას მოუგო, თანაც ორივეჯერ — პენალტებით.**

ტურნირში 12 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. მათგან ორი მოწვეულია — იაპონია და ყატარი.

ჯგუფები ასე დაკომპლექტდა:

**A ჯგუფი:** ბრაზილია, პერუ, ბოლივია, ვენესუელა.

**B ჯგუფი:** არგენტინა, კოლუმბია, პარაგვაი, ყატარი.

**C ჯგუფი:** ურუგვაი, ეკვადორი, იაპონია, ჩილე.

რეგლამენტით, ჯგუფური ეტაპის კვალად გაიმართება მეოთხედფინალები, შემდეგ — ნახევარფინალები, მესამე ადგილისთვის მატჩი და ბოლოს — ფინალი 7 ივლისს რიო დე ჟანეიროში „მარაკანას“ სტადიონზე.

* * *

**გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, „მონაკომ“ მთავარი მწვრთნელი ტიერი ანრი ცუდი შედეგების გამო, დროებით დაითხოვაო, მაგრამ შემდეგ ჯერ არაოფიციალურად, მაგრამ მაინც დადასტურდა, რომ ფრანგი სპეციალისტი საერთოდ დაითხოვეს** — წერს თავის „ტვიტერში“ BBC-ის ჟურნალისტი დევიდ ორნშტეინი.

წყაროს ცნობით, ანრი უახლოეს დროში გააკეთებს განცხადებას გადადგომის შესახებ, გუნდს კი ისევ ლეონარდუ ჟარდიმი ჩაიბარებს. კლუბი უკვე შეთანხმებულა პორტუგალიელთან. ვარაუდობენ, რომ ჟარდიმი მუშაობას უახლოესი 48 საათის განმავლობაში შეუდგება.

44 წლის ჟარდიმი „მონაკოს“ 2014 წლიდან წვრთნიდა და 2016/17 წლების სეზონში იგი საფრანგეთის ჩემპიონი გახადა, მიმდინარე გათამაშებაში კი სამთავროს გუნდი ძალიან ცუდად ასპარეზობს. შედეგად, 11 ოქტომბერს ჟარდიმი დაითხოვეს, ხოლო მის მაგიერ ტიერი ანრი დანიშნეს. ანრის ხელმძღვანელობით „მონაკომ“ საფრანგეთის ჩემპიონატში 12 მატჩიდან მხოლოდ ორი მოიგო და ცხრილში ბოლოსწინა, მე-19 ადგილზეა.




* * *

**„კარდიფ სიტის“ თავდამსხმელის ემილიანო სალას სამძებრო ოპერაცია შეჩერებულია. აღნიშნული ინფორმაცია გერნსის პოლიციამ დაადასტურა.** სამდღიან სამუშაოებს შედეგი არ გამოუღია, რის გამოც ადგილობრივი ხელისუფლება იძულებელი გახდა აქტიური ძიება შეეწყვიტა.

**„ჩვენმა გუნდმა მიიღო ბრძანება, რომ შეეწყვიტოს სამძებრო და სამაშველო ოპერაცია, რომელიც ტარდებოდა ორშაბათიდან მოყოლებული. მიუხედავად ყველა მცდელობისა, რომელიც ხორციელდებოდა საჰაერო და საწყლოსნო ტექნიკით და რომელმაც მოიცვა თითქმის 1.700 კვადრატული კილომეტრი, ზოგიერთ ადგილებში კი ძებნა ორმაგად მიმდინარეობდა, თვითმფრინავის, ფეხბურთელისა და პილოტის კვალი არ ჩანს. ამ ეტაპზე მათი ცოცხლად გადარჩენის შანსი მინიმალურია“,** — განაცხადა ოპერაციის ხელმძღვანელმა დევიდ ბარკერმა.

შეგახსენებთ, რომ ემილიანო სალა ნანტიდან კარდიფში კერძო თვითმფრინავით მგზავრობისას გაუჩინარდა. მიუხედავად სამდღიანი სამძებრო სამუშაოებისა, რომელშიც ვერტმფრენები და გემებიც იყვნენ ჩართულნი, 28 წლის არგენტინელი ფეხბურთელის თვითმფრინავის კვალს პოლიციამ ვერ მიაგნო.

აქვე გეტყვით, რომ სალა „ნანტიდან“ „კარდიფ სიტიში“ 17 მილიონ ევროდ გადავიდა და უელსური გუნდის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი გახდა, თუმცა, არგენტინელმა ახალ გუნდში ერთი ვარჯიშის ჩატარებაც ვერ მოასწრო...



**გიორგი შოთაძე**

ხსოვნა

# ჯემალ ბედუკაძე – ჩვენი თაობისა და მეგობრობის ბაირახტარი!



„როგორ ბევრია შვილი ადამის, როგორ ცოტაა ადამიანი!“

გალაკტიონ ტაბიძე

სამწუხაროა, რომ ამ ცოტა და გამორჩეულ ადამიანთა რაოდენობა თანდათანობით მცირდება. უკვე მეორმოცე ტკივილიანი დღეა, რაც ჯემალ დავითის ძე ბედუკაძე მხოლოდ ფიზიკურად წავიდა ჩვენგან, სულიერად კი მუდამ ჩვენთან იქნება. იგი კაცობისა და მეგობრობის ეტალონი, ჭეშმარიტად ღირსეული მამულიშვილი, ჩვენი თაობისა და მეგობრობის სახელოვანი და საამაყო ბაირახტარი იყო, რომელსაც ამშვენებდა ყველა უკეთილშობილესი ადამიანური თვისება. მისთვის ყველაზე დიდ თანამდებობას და უმაღლეს ფასეულობას ადამიანობა წარმოადგენდა.

ჯემალ ბედუკაძე აღიარებული სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, ღვაწლმოსილი და ღირსეული პიროვნება, მგზნებარე უნივერსიტეტელი, საქართველოში საინვესტიციო სკოლის პირველი მეცნიერებათა დოქტორი და ამ დარგის ერთ-ერთი მესაძირკვლე გახლდათ. მას შესისხლხორცებული ჰქონდა ღვთიური სიყვარულის ცნება. ამიტომაც მთელი თავისი სიცოცხლე ქველმოქმედებას, სიყვარულსა და სიკეთეს ემსახურა. ამ დალოცვილ მიწაზე ცხოვრობდა ქრისტეს საყოველთაოდ ცნობილი ათი მცნებით. მისთვის „მამული, ენა, სარწმუნოება“ ყველაფერს ნიშნავდა. რწმენა და სინდისი მის არსებაში შედუღაბებული იყო და ერთმანეთის გარეშე არ არსებობდა.

მისი სუფთა გული და წრფელი სული მომაჯადოებელ გარემოს ჰქმნიდა, სადაც შეგეძლო თავი სრულიად თავისუფლად და ბედნიერად გეგრძნო. ჯემალი ღირსეული წინაპრების სახელოვანი მემკვიდრე და შთამომავალი იყო. მას ერთმანეთთან იდეალურად ჰქონდა შეხამებული ადამიანის ამქვეყნიური მოვალეობანი: ღვთის, ქვეყნის, მოყვასისა და საკუთარი თავის წინაშე. ზნეობრივი კანონები და ნორმები გონებაშიც კი არასოდეს დაურღვევია. ამიტომაც იგი უცოდველი და ვალმოხდილი წავიდა ამქვეყნიდან. ბედნიერ ვარსკვლავზე იყო დაბადებული. მას უფლისგან მინიჭებული ჰქონდა შინაგანი ძალა, რომლის წყალობითაც უკეთილშობილეს ადამიანად დარჩა. იგი თხემით ტერფამდე ჭეშმარიტად ქართველი ქრისტიანი იყო და ისე მოქმედებდა, როგორც უფალს უნდოდა, როგორც ხალხსა და ქვეყანას წაადგებოდა. სხვებისგან განსხვავებით, ცხოვრობდა ისე, როგორც თავისი ხალხი... ჯემალ ბედუკაძე არა უბრალოდ საგურამოელი, არამედ მისი სახე და სიამაყე იყო თავის დიდ ოჯახთან ერთად.

მახსენდება ერთი ეპიზოდი ჩვენი სიბრძნის მაწოვებელ დედაუნივერსიტეტში ისტორიის მისაღები გამოცდიდან. როდესაც ჯემალი მიიყვანეს კომისიის თავმჯდომარე, პროფესორ დავით გვრიტიშვილთან, რადგან მხოლოდ მას ჰქონდა უმაღლესი ნიშნის დაწერის უფლება, პროფესორი აღტაცებული დარჩა მისი სხარტი და გონივრული პასუხებით და როდესაც გაიგო, რომ აბიტურიენტი საგურამოელი იყო, ეკითხება: აბა, მითხარი, ჯეელო, თუ იცი, რომელია ყველაზე პატარა ექსპონატი ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში? მომავალი სტუდენტი პასუხობს: ტყვია, რომელიც ესროლეს ილიას, მაგრამ ვერ მოკლეს...

ჯემალ ბედუკაძე თსუ ეკონომიკური ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ პროფესორ ნიკოლოზ ქოიავას ინიციატივით დატოვეს თბილისში პროფესორად მოსამზადებლად. მან პროფესიული წრთობა გაიარა სსრკ მშენებლობისა და საქართველოს ბანკში, მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ეკონომიკის ინსტიტუტში, მსუბუქი მრეწველობის და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროში. დისერტაციის დაცვის შემდეგ ჯემალ ბედუკაძე ინიშნება ჯერ ხაშურის რაიკომის პირველ მდივნად, ხოლო შემდეგ — თეთრი წყაროს რაიკომის პირველ მდივნად. ამ თანამდებობებზე მუშაობის დროს არაჩვეულებრივად ენერგიული, მრავალმხრივ ერუდირებული ღირსეული მოქალაქე და ლიდერი ახალ მოთხოვნათა დონეზე გეგმავდა, ქმნიდა, აშენებდა და ყოველივე ამას აკეთებდა ისეთი მასშტაბით, რომელიც ქმნიდა ამ რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაღალ დონეს. ამიტომაც მან ხალხის დიდი სიყვარული და სპეტაკი სახელმწიფო მოღვაწის სახელი დაიმსახურა.

ერთ-ერთ სახალხო ზეიმზე „გარისობაზე“ ჯემალ ბედუკაძეს მწერალმა ლევან სანიკიძემ ქვეყნის მანათობელი მოყმე უწოდა... იგი გამოირჩეოდა არა მარტო შესანიშნავი პროფესიული და ორგანიზატორული ნიჭით, არამედ ასევე პიროვნული თვისებებით, რომელთაც ყველაზე მეტად აფასებდა ადამიანში. პატრიოტიზმი, ოჯახიშვილობა, უბრალოება, თავმდაბლობა, მეგობრობა, ქველმოქმედება, განათლება, შინაგანი კულტურა, მაღალი პასუხისმგებლობა და დიდი საქმეების უხმაუროდ კეთება მისი დამახასიათებელი თვისებები იყო. ბატონი ჯემალ ბედუკაძე იყო კაი ყმა, რომელსაც ბრწყინვალედ ესმოდა „ხმა ღვთისა და ხმა ერისა“. იგი ყოველთვის ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე იდგა და ღირსეულად ემსახურებოდა მშობელ ერსა და ქვეყანას.

ბატონი ჯემალი იყო იდეალური და შესანიშნავი მეუღლე, მზრუნველი და მოსიყვარულე მამა და ბაბუა, ერთგული და საამაყო მეგობარი. „საქართველო უპირველეს ყოვლისა!“ — მისი ცხოვრების დევიზი იყო. ამ სიყვარულისთვის ღირდა სიცოცხლე...

სამარადისო ხსოვნა და დიდება მის ნათელ სახელსა და სულს, ამინ!

გულთაზ ლაბარტყავა

სანთელი

ლუიზა, როინ მეტრეველები თანაუგრძნობენ ნაირა ჭაბაშვილსა და რამაზ ხეცურიანს დედისა და სიდედრის

**ციცინო ჭაბაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

თენგიზ, ქეთინო ქავთარაძეები, თემურ, ანიკო კუჭუხიძეები სამძიმარს უცხადებენ ნაირა, ქეთევან, თამარ ჭაბაშვილებს, რამაზ ხეცურიანს დედისა და სიდედრის

**ციცინო სტეფანეს ასული ჭაბაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

მანანა ჩეჩელაშვილი, ირინა ჟორდანია, მურიკო, დიმა თოფურიძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან უძვირფასესი ადამიანის

**ვახტანგ ენდელაძის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს.

---

ქ. თბილისში მცხოვრები ფოთელების საზოგადოების გამგეობა სამძიმარს უცხადებს ბ-ნ გოჩა კურდღელიას დედის, ქ-ნი

**ციალას**

გარდაცვალების გამო.

# შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნარკოდანაშაულისთვის თბილისში 9 პირი დააკავა

**შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქართველოში ნარკოტიკების ინტერნეტით გავრცელების ახალი სქემა გამოავლინა. შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგრძობს ქვეყანაში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის და გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლას.**

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს და კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, 2 თვის განმავლობაში ჩატარებული ინტენსიური ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, საქართველოში ნარკოტიკების ინტერნეტით გავრცელების ახალი სქემა გამოავლინეს. პოლიციამ ნარკოტიკების უკანონო გასაღების ბრალდებით ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის 5 წევრი დააკავა და თბილისში, სხვადასხვა ტერიტორიაზე არსებული სამალავებიდან სარეალიზაციოდ გამზადებული, სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები ამოიღო.



დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადოდ თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. პოლიციამ, დაკავებულების პირადი ჩხრეკისას, დაახლოებით, 100 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰაშიში“ ნივთმტკიცებად ამოიღო. ერთ-ერთი ბრალდებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას კი ამოღებულია ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება ე.წ. „ბიო“ და ნარკოტიკული საშუალება „ალფა პვპ“, რომლებიც განკუთვნილი იყო „ტელეგრამში“ არსებული ჯგუფების - ე.წ. „ვკგპ-თრწზ“-ების მომხმარებლებზე გასასაღებლად.

აღსანიშნავია, რომ დაკავებულთაგან ორი პირი აღნიშნული „ვკგპ-თრწზ“-ების ე.წ. „დამდებია“. გამოძიებამ დაადგინა, რომ მათ სხვა ბრალდებულების მიერ გადაცემული ნარკოტიკების დაფასოება და სხვადასხვა ადგილზე სარეალიზაციოდ განთავსება ევალებოდათ, რაშიც შესაბამის ფულად ანაზღაურებას იღებდნენ. სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, თბილისში, სხვადასხვა ადგილზე არსებული სამალავებიდან სარეალიზაციოდ გამზადებული, სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები ამოიღეს. ამ დროისთვის პოლიცია კვლავ განაგრძობს ნარკოტიკების ამოღების პროცესს.




# ჯეკ შეფერდს საექსტრადიციო პატიმრობა შეეფარდა

